ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში

როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?

ПОЛИТИКИС ДОКУМЕНТИ

კორნელი კაკაჩია, კატრინ ბეტგერი, ბიძინა ლებანიძე,
ვიქტორია პალმი, მიხეილ სარჯველაძე

ბერლინი/თბილისი
ივლისი 2019

წინასიტყვაობა

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ექსპერტებმა, აკადემიკოსებმა და პოლიტიკოსებმა, როგორც საქართველოდან, ისე გერმანიიდან. მადლობას ვუხდით ინტერვიუს ყველა რესპონდენტსა და მიმომხილველს მნიშვნელოვანი მოსაზრებებისა და ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის.

* წინამდებარე პუბლიკაცია შემუშავდა „ღია საზოგადოების ინიციატივა ევროპისთვის“ მხარდაჭერით, პროექტის - „ევროპეიზაცია პროცესის მიღმა“ - ფარგლებში, რომელიც ერთობლივად ხორციელდება საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა და ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის, ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტისა და ფონდი ღია საზოგადოების მოსაზრებებს.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2019	© Institut für Europäische Politik (ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტი)

ტელ: +995 599 99 02 12	ტელ: +49 (0)30 8891 34 0
ელ.ფოსტა: info@gip.ge	ელ.ფოსტა: info@iep-berlin.de
www.gip.ge	www.iep-berlin.de

დოკუმენტის ციტირების წესი: კორნელი კაკაჩია, კატრინ ბეტგერი, ბიძინა ლებანიძე, ვიქტორია პალმი, მიხეილ სარჯველაძე. *„ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში - როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?“*, პოლიტიკის დოკუმენტი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი / ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტი, ივლისი 2019.

შინაარსი

საქართველოსა და გერმანიას შორის არსებობს მჭიდრო, ორმხრივი ურთიერთობები, რომელიც ისტორიული კავშირებითა და პოლიტიკურ-კულტურული სიახლოვით ხასიათდება, თუმცა ამ ეტაპზე, ორმხრივ ურთიერთობებში, ასევე, იკვეთება უკმაყოფილების გრძნობა და პოლიტიკის შეუთავსებლობა სამ, ერთმანეთთან დაკავშირებულ სფეროში: ურთიერთობები რუსეთთან, ნატოსკენ საქართველოს სწრაფვა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი. განსხვავებები ამ საკითხებისადმი არსებულ პოზიციებში, ძირითადად, სხვადასხვა საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, ორმხრივი ურთიერთობების ასიმეტრიულობას და შეუთავსებელ მოლოდინებსა და (არასწორ) აღქმებს უკავშირდება.

საქართველოს შემთხვევაში, მძლავრია ერთგვარი სკეპტიციზმი გერმანიის როლთან დაკავშირებით საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროექტის მიმართ. საქართველოს პოლიტიკური კლასის ზოგიერთი წარმომადგენელი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გერმანიის, როგორც სანდო პარტნიორის, როლს და ქვეყანას რუსეთის ფედერაციის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო აკრიტიკებს. ქართული მხარე, ასევე, მოითხოვს საკუთარი მიღწევების მეტად დაფასებასა და რეფორმების პროცესისთვის ახალი, წამახალისებელი შეთავაზებების გაჩენას. თავისმხრივ, „გერმანიას, გარკვეულწილად, აშფოთებს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ საქართველოს გამალებული სწრაფვა და უპირატესობას შედარებით დინჯი ნაბიჯებით სვლას ანიჭებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მოახერხა დემოკრატიისა და კარგი მმართველობის მიმართულებით პოსტსაბჭოთა სივრცეში მოწინავე ადგილის დაკავება, გერმანული მხარე დაახლოების შემდგომი ეტაპებისთვის, შესაბამისი რეგულაციების სრულ იმპლემენტაციას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და გერმანია უახლოეს მომავალში ვერ შეძლებენ ყველა არსებული განსხვავების აღმოფხვრას, გაუმჯობესებული კომუნიკაცია და ერთმანეთის ინტერესების გათვალიწინებისთვის მზაობა, ხელს შეუწყობს ურთიერთობების უკეთესობისკენ წარმართვას და არასწორი წარმოდგენების მინიმუმამდე დაყვანას. ეკონომიკურ სფეროში გაზრდილი თანამშრომლობა და საზოგადოებრივ დონეზე უფრო მჭიდრო კავშირები, ასევე, შეუწყობს ხელს ორივე მხარეს არსებული სკეპტიციზმის დაძლევასა და ორმხრივი ურთიერთობებისთვის ახალი სიცოცხლის შთაბერვას.

სარჩევი

1. შესავალი და ისტორიული მიმოხილვა 5

2. უთანხმოების ძირითადი სფეროები: რუსეთი, ნატო და ევროკავშირი 7

2.1 როგორ უნდა მოგვარდეს რუსეთის საკითხი? 7

2.2 ნატოს წევრობა საქართველოსთვის? 7

2.3 როგორ უნდა მოხდეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ფორმირება? 8

3. განსხვავებული პრიორიტეტები, აღქმები და მოლოდინები: მეორე მხარის თვალსაზრისი 9

3.1 გერმანული პერსპექტივა 9

3.1.1 გერმანიის საგარეო პოლიტიკა „Ostpolitik"-სა და აღმოსავლეთ პარტნიორობას შორის 9

3.1.2 საქართველოს როლი გერმანიის საგარეო პოლიტიკაში 12

3.1.3 გერმანიის წარმოდგენები და მოლოდინები საქართველოს მიმართ 13

3.2 ქართული პერსპექტივა 15

3.2.1 საგარეო პოლიტიკა რუსეთსა და დასავლეთს შორის 15

3.2.2 გერმანიის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში 17

3.2.3 საქართველოს წარმოდგენები და მოლოდინები გერმანიის მიმართ 18

4. შეჯამება და რეკომენდაციები 20

1. შესავალი და ისტორიული მიმოხილვა

2018 წლის აგვისტოში, საქართველოში ვიზიტისას, გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ესაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო და უკრაინა (დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების შემდეგ) [ევროკავშირის] წევრობის პერსპექტივის მქონე ქვეყნები გახდებიან[1]. ამასთანავე, მან ხაზი გაუსვა, რომ ეს გრძელვადიანი პროცესი იქნება, თუმცა მერკელის გზავნილი [საქართველოსთვის] არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ის გერმანიის მიერ საქართველოსთვის ოფიციალური „ევროპული პერსპექტივის" სტატუსის ადვოკატირებასთან გავაიგივოთ. შესაბამისად, არ გამართლდა ქართული მხარის იმედი, რომ გერმანიის კანცლერის ვიზიტი გერმანიისა და ევროკავშირის მხარდაჭერას გააძლიერებდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ეს კიდევ ერთი შემთხვევა იყო, როდესაც გერმანიის საგარეო პოლიტიკის პოზიციამ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სწრაფვის მოლოდინები არ გაამართლა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიასა და საქართველოს შორის ამ ეტაპზე არსებული ურთიერთობები იმედგაცრუებით ხასიათდება, განსაკუთრებით, ქართული მხრიდან, რაც ხელს უშლის ორმხრივი ურთიერთობების სრული პოტენციალის რეალიზებას.

მოვლენების ამგვარი განვითარება, განსაკუთრებით, სამწუხაროა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გერმანიასა და საქართველოს ისტორიულად ახლო კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები აქვთ. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიამ სამხრეთ გერმანიიდან საქართველოს ტერიტორიაზე ათასობით გერმანელის გადმოსახლებას შეუწყო ხელი. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, გერმანიამ საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონის მიმართ უფრო დიდი ეკონომიკური ინტერესი გამოავლინა. გერმანულ კომპანიებს რეგიონის ბუნებრივი რესურსები იზიდავდა და მონაწილეობდნენ ბაქოსა და ბათუმს შორის იმ დროისთვის მსოფლიოში ყველაზე გრძელი ნავთობსადენის მშენებლობაში. ორმხრივი კავშირები მეოცე საუკუნის დასაწყისშიც გაძლიერდა. პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერიის დასუსტების მიზნით, გერმანიის იმპერიამ 1914 წელს ქართველი ემიგრანტების მიერ დაფუძნებულ "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს" პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო დახმარება აღმოუჩინა, ხოლო 1917 წელს, რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, გერმანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის ყველაზე მნიშვნელოვან გარანტად იქცა: საქართველოში განთავსებული იყო თითქმის 19,000 გერმანელი სამხედრო მოსამსახურე, ხოლო გერმანიის იმპერიის პოლიტიკურმა მხარდაჭერამ 1918 წელს საქართველოს ხელი შეუწყო დამოუკიდებლობის გამოცხადების პროცესში. ამ პერიოდში გერმანიას, ძირითადად, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა: ბერლინს რეგიონის მდიდარი მინერალური რესურსები იზიდავდა და გეოპოლიტიკური მიზნებისთვის რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის მდებარე საქართველოს სტრატეგიული მდგომარეობის გამოყენება სურდა[2], თუმცა გერმანიას პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, რეგიონის დატოვება მოუწია და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა მალევე შთანთქა საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და მღელვარე 1990-იან წლებში და მას შემდეგაც, შავი ზღვის აუზის ქვეყანას მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ქართველ და გერმანელ ხალხთა ურთიერთობა უფრო მჭიდრო გახდა. საბერძნეთის შემდეგ გერმანია ევროპაში მიმავალი ქართველებისთვის რიგით მეორე ყველაზე პოპულარულ ქვეყნად იქცა[3].

1. Agenda.ge, "German Chancellor on Russian illegalities against Georgia: "Yes, this is occupation"," 2018, http://agenda.ge/en/news/2018/1772, წვდომის თარიღი, მარტი, 2019.
2. Simon Gelaschwili, "Deutsches Finanzkapital in Georgien am Ende des 19. und Anfang des 20. Jahrhunderts," 2010, p. 2, https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/4240/file/finanzdisk_g13.pdf, წვდომის თარიღი, აპრილი, 2019.
3. Pew Research Center, "Origins and Destinations of the World's Migrants, 1990-2017, Origins and Destinations of the World's Migrants, 1990-2017," 2018, http://www.pewglobal.org/2018/02/28/global-migrant-stocks/, წვდომის თარიღი, თებერვალი, 2019.

2017 წელს გერმანიაში ოფიციალურად 25,000 ქართველი სახლობდა[4]. საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტებიდან ყველაზე მეტი ქართველი სტუდენტი გერმანულ უნივერსიტეტებში სწავლობს. გერმანიის უნივერსიტეტებში, ამჟამად დაახლოებით 2,500 ქართველი სტუდენტი ირიცხება[5]. საქართველოს მდიდარი ბუნება და კულტურა სულ უფრო მეტ გერმანელ ტურისტს იზიდავს.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხთა შორის კონტაქტი ორ ქვეყანას შორის გაძლიერდა, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები მოლოდინებს ვერ ამართლებს - ეს კი განსაკუთრებით, საქართველოს მხრიდან იგრძნობა. იმედგაცრუება და გაუმართლებელი მოლოდინები გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოშობს რისკს, რომ მოხდება საქართველოს - როგორც პოლიტიკური ელიტის, ისე საზოგადოების - პოლიტიკური გაუცხოება დასავლელი პარტნიორების, კერძოდ კი გერმანიის მიმართ; ამან კი თავისმხრივ, შესაძლოა, გამოიწვიოს საქართველოს დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესის სტაგნაცია და, შესაძლოა, უკუსვლაც კი. ამგვარი სცენარი არცერთი მხარის ინტერესში არ ჯდება. სწორედ ამიტომ არის უმნიშვნელოვანესი, გაუგებრობების თავიდან აცილება ან მათი მოგვარება და მოლოდინების რაც შეიძლება მეტად შეჯერება.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, რთულია, ორ მხარეს შორის არსებული არსებითი განსხვავებების აღმოფხვრა, ზოგიერთი მათგანის საფუძველი უფრო მეტად არასწორი კომუნიკაცია და წარმოდგენებია, ვიდრე შეუჯერებელი ან საპირისპირო ინტერესები. შესაბამისად, მათი მოგვარება საერთო წარმოდგენების გაუმჯობესებით, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებითა და კომპრომისული გამოსავლის ძიებით არის შესაძლებელი. საქართველოსა და გერმანიას შორის ძირითადი პოლიტიკის მიმართულებების შეუთავსებლობებისა და არასწორი წარმოდგენების და მათი საფუძვლების ანალიზით, წინამდებარე დოკუმენტი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ავტორები მიმოიხილავენ ორმხრივ ურთიერთობებში არსებული განსხვავებების მიმართულებებს. კერძოდ, დოკუმენტში გაანალიზებულია რუსეთთან დამოკიდებულება და საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების საკითხები. ასევე, მიმოხილულია ორი ქვეყნის განსხვავებული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და ის მოლოდინები და წარმოდგენები, რაც ამ განსხვავებებს კვებავს.

დოკუმენტის ბოლოს, ავტორები წაარმოადგენენ რეკომენდაციებს გერმანიისა და საქართველოს მთავრობებისთვის მოლოდინების შესაჯერებლად და ორ ქვეყანას შორის, განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ჩვენი აზრით, ვინაიდან ამ ეტაპზე საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება არ განიხილება და არსებული ფორმატები (როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი) ძალას კარგავს, გერმანიამ და საქართველომ თანამშრომლობის ახალი გზები უნდა ეძიონ საკუთარი მიზნების მისაღწევად. მთავარი მიზანი გერმანიისთვის არის ევროკავშირის აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლის სტაბილიზაცია, ხოლო საქართველოსთვის - რეფორმების განგრძობითობა და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

4. Statista, “Anzahl der Ausländer in Deutschland nach Herkunftsland in den Jahren 2016 und 2017,” 2018, https://de.statista.com/statistik/daten/studie/1221/umfrage/anzahl-der-auslaender-in-deutschland-nach-herkunftsland/, წვდომის თარიღი, იანვარი, 2019.
5. DAAD, “Georgien. Kurze Einführung in das Hochschulsystem und die DAAD- Aktivitäten,” 2018, p. 18, https://www.daad.de/medien/der-daad/analysen-studien/laendersachstand/georgien_daad_sachstand.pdf, წვდომის თარიღი, მარტი, 2019.

2. უთანხმოების ძირითადი სფეროები: რუსეთი, ნატო და ევროკავშირი

გერმანიისა და საქართველოს ხელისუფალნი იზიარებენ საქართველოს ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის მიზანს, თუმცა ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ როგორ და რა ტემპებით უნდა მოხდეს მისი მიღწევა. უთანხმოების სამ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ურთიერთობები რუსეთთან, საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობა და საქართველოს ევროპული ინტეგრაცია.

2.1 როგორ უნდა მოგვარდეს რუსეთის საკითხი?

საქართველოსა და გერმანიას რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის განსხვავებული მიდგომები აქვთ. გერმანია, ტრადიციულად, თანამშრომლობას არჩევს, კრიზისის შემთხვევაშიც კი, ცდილობს რუსეთის მთავრობასთან ღია საკომუნიკაციო არხების შენარჩუნებას და უფრთხის ღია დაპირისპირებასა და ურთიერთობების გაწყვეტას. მსგავსი პრაგმატული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ გერმანია რუსეთის ფედერაციას საფრთხედ არ აღიქვამს. მეორე მხრივ, გერმანიის პოლიტიკური პარტიების მიდგომა პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოსადმი, რუსეთის მიმართ არსებული პოლიტიკით განისაზღვრება. შესაბამისად, ბერლინი საქართველოსა და გერმანიას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა ამასთანავე, სიფრთხილეს იჩენს და ერიდება რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებას.

გერმანიისგან განსხვავებით და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, საქართველო რუსეთის მიმართ უფრო ხისტ დამოკიდებულებას ემხრობა. ეს დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ ორი ქვეყანა ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო რუსეთს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული. საქართველოს დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, ასევე, განპირობებულია ჩრდილოელ მეზობელთან უარყოფითი ისტორიული გამოცდილებით, რის გამოც თბილისი მოსკოვს უპირველეს მტრად აღიქვამს. რუსეთის მიმართ საქართველოს დამოკიდებულება გარკვეული ხარისხით ასევე განისაზღვრება იმით, თუ რომელი პარტიის ხელშია ძალაუფლება. მაგალითისთვის, ახლანდელი მთავრობა რუსეთთან შედარებით რბილ და ეკონომიკაზე ფოკუსირებულ მიდგომას არჩევს, მიხეილ სააკაშვილის მთავრობისგან განსხვავებით, თუმცა, მიუხედავად ამისა, მთავარი პოლიტიკური აქტორები საქართველოში თანხმდებიან იმაზე, რომ რუსეთის ქმედებებს, მოლაპარაკების მუდმივი შეთავაზებების ნაცვლად, მეტი პრინციპულობა უნდა დაუპირისპირდეს. შესაბამისად, თბილისს ურჩევნია, რომ მისმა დასავლელმა პარტნიორებმა, კერძოდ კი გერმანიამ, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობისას უფრო სკეპტიკური და კრიტიკული დამოკიდებულება აირჩიოს.

შესაბამისად რუსეთის მიმართ დამოკიდებულებებში არსებული განსხვავებული მიდგომები, ძირითადად, წარსულის გამოცდილებისა და საფრთხის განსხვავებული აღქმითაა გამოწვეული, რაც ამ მიმართულებით ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ დაახლოებას ართულებს.

2.2 ნატოს წევრობა საქართველოსთვის?

რუსეთის ფაქტორს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს პოლიტიკის სხვა მიმართულებებზეც, რაც ყველაზე კარგად საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე აისახება. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს, ის გაწევრიანებასთან დაკავშირებით კონკრეტული ვადების დასახელების პოლიტიკისგან თავს იკავებს. გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას იმ ზღვრამდე, სანამ ეს პროცესი არ შეეხება საქართველოს გაწევრიანებას ნატოში და არ გახდება სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხი. გერმანიის დახმარებით, საქართველომ ახლახან ხელი მოაწერა

ნატო-საქართველოს არსებით პაკეტს (SNGP) და მიიღო ნატოს გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორი ქვეყნის სტატუსი, რაც გულისხმობს „ალიანსის წევრი ქვეყნებისთვის გათვალისწინებულ ყველა პრივილეგიას, კოლექტიური უსაფრთხოების ქოლგის გარდა“[6]. გერმანიის განცხადებით, ამ ეტაპზე ძირითადი ყურადღება SNGP-ს იმპლემენტაციაზეა და ჯერ კიდევ ბევრია ამ მიმართულებით გასაკეთებელი. გერმანია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთს არ უნდა ჰქონდეს ვეტოს დე ფაქტო უფლება და არ უნდა შეუშალოს რომელიმე ქვეყანას ხელი, გადაწყვიტოს საკუთარი სტრატეგიული ვექტორის მიმართულება; თუმცა, ის და ალიანსის სხვა წევრი ქვეყნები ამ ეტაპზე თავს იკავებენ საქართველოსთვის ნატოს წევრობის მინიჭებისგან, რუსეთისგან აგრესიული რეაქციის პროვოცირების საფრთხის გამო. შესაბამისად, გერმანია არ აპირებს საკუთარი პოზიციის გადათქმას იმის თაობაზე, რომ საქართველო საბოლოოდ გახდება ნატოს წევრი ქვეყანა, თუმცა, ამასთანავე, არ არის მზად ამ პირობის შესასრულებლად.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, საქართველო ნატოში გაწევრიანებას საკუთარი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად სახავს. ქვეყნის ამ კურსს ძლიერი მხარდაჭერა აქვს საზოგადოების მხრიდან (NDI-ს გამოკითხვების მიხედვით, მოსახლეობის 78% მხარს უჭერს ნატოსთან მჭიდრო ურთიერთობებს)[7]. თუმცა, აღქმა იმისა, რომ რუსეთის მხრიდან შურისძიების შიში ალიანსის წევრებს არ აძლევს საშუალებას, საქართველოს გაწევრიანებისთვის კონკრეტული ვადები დაუწესოს, აღვივებს იმ აზრს, რომ რუსეთი საკუთარი მეზობლების მიმართ აგრესიისათვის ჯილდოვდება.

2.3 როგორ უნდა მოხდეს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია?

საქართველოს ევროპული პერსპექტივის საკითხი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიდგომებს შორის არსებულ განსხვავებებს. გერმანიისთვის, საქართველოს (და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების) ევროკავშირში გაწევრიანება დღის წესრიგში არ დგას, რადგან ამ ეტაპზე ევროკავშირი ისეთ საშინაო საკითხებზეა ფოკუსირებული, როგორიცაა ბრექსიტი, მზარდი პოპულიზმი და ევროსკეპტიციზმი. 2000-იან წლებში ევროკავშირში გაწევრიანებული ქვეყნების უკუსვლა დემოკრატიის მიმართულებით და ამასთან, ევროკავშირის უუნარობა, წარმატებით გაუმკლავდეს ამ ტენდენციებს, უფრო მეტად ასუსტებს გერმანიის მზადყოფნას ამ ეტაპზე ევროკავშირში ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებით. ამასთან, გერმანიის მთავრობის მოთხოვნით, ევროკავშირის წევრობის შესაძლებლობის მიღებამდე, საქართველომ უნდა შეასრულოს ის ვალდებულებები, რაც ასოცირების შესახებ შეთანხმებით აქვს აღებული.

თავისმხრივ, საქართველოს მთავრობა აღიარებს, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის განხილვისთვის არ არის შესაფერისი დრო, როგორც ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით პოლიტიკური ნების არქონის, ისე ევროკავშირის ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაში, ევროსკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკური პარტიების მზარდი გავლენის გათვალისწინებით[8]. ამ გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ცალმხრივად შეიმუშავა ამბიციური „ევროკავშირთან ინტეგრაციის საგზაო რუკა“[9], რაც ქვეყნისთვის ევროკავშირში ინტეგრაციის არაფორმალურ გეგმას წარმოადგენს. გეგმაში გათვალისწინებულია ისეთი ნაბიჯები, როგორიცაა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ურთიერთობების გაღრმავება, ევროკავშირის პროგრამებსა და ინიციატივებში

6. EUobserver, “Nato should keep Georgia on its mind at summit,” 2018, https://euobserver.com/opinion/142304, accessed March 2019; Bidzina Lebanidze, “NATO and Georgia: Waiting the Winter Out,” ISPI, 2018, https://www.ispionline.it/en/pubblicazione/nato-and-georgia-waiting-winter-out-21098+, წვდომის თარიღი, იანვარი, 2019.
7. Civil Georgia, “Public Attitudes in NDI-Commissioned Opinion Survey,” 2019, https://civil.ge/archives/274820, წვდომის თარიღი, მარტი, 2019.
8. Silvia Stöber, “German Elections 2017: Continuity at the Top, a Looming Disaster from Below,” 2017, http://gip.ge/german-elections-2017-continuity-top-looming-disaster/, წვდომის თარიღი, ნოემბერი, 2018.
9. ინტერვიუ ელგუჯა ხოკრიშვილთან, საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში. ბერლინი, 28.10.2018

საქართველოს ჩართულობისა და სხვა მიმართულებებით სექტორული თანამშრომლობის გაძლიერება[10]. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებაში არსებობს მოლოდინი და სურვილი, რომ ქვეყნის ევროკავშირთან ურთიერთობა ახალ საფეხურზე გადავიდეს.

საქართველოს მთავრობისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებულ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში[11] - რომელიც განსხვავებული მიზნებისა და ინტერესების მქონე, განსხვავებულ ქვეყნებს აერთიანებს - ჰქონდეს უფრო მეტი და რეალურად განსხვავებული შესაძლებლობები, თუმცა გერმანია ამ ეტაპზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფორმატის რეფორმის აუცილებლობას ვერ ხედავს, მიუხედავად საგარეო საქმეთა მინისტრის - ჰაიკო მასის მოწოდებისა, განახლებული “Ostpolitik”-ის შესახებ (ე.წ. ახალი ევროპული აღმოსავლეთის პოლიტიკა). გერმანია აღმოსავლეთ პარტნიორობას საკმარისად მოქნილ ფორმატად აღიქვამს იმისათვის, რომ მოერგოს სხვადასხვა ქვეყნების განსხვავებულ მიზნებს და აფასებს ამ ფორმატის შესაძლებლობას, ერთდროულად ითანამშრომლოს ექვს ქვეყანასთან რეგიონისთვის მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად.

3. განსხვავებული პრიორიტეტები, აღქმები და გერმანული თვალსაზრისი[12]

მომდევნო თავებში გაანალიზებულია ის მიზეზები და მოტივაციები, რაც ორი ქვეყნის განსხვავებული პოლიტიკის მიდგომებს უდევს საფუძვლად და რომელიც ორმხრივ ურთიერთობებში ხშირად შეუსაბამობებს აჩენს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განხვავებულ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს და გერმანიისა და საქართველოს არაერთგვაროვან აღქმებსა და მოლოდინებს.

3.1 გერმანული პერსპექტივა

3.1.1 გერმანიის საგარეო პოლიტიკა „Ostpolitik“-სა და აღმოსავლეთ პარტნიორობას შორის

მეორე მსოფლიო ომის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, გერმანიის ახალდაარსებულმა ფედერაციულმა რესპუბლიკამ საკუთარი საგარეო პოლიტიკა Westbindung-ის პრინციპზე დააფუძნა, რაც დასავლეთ ნახევარსფეროსთან ინტენსიურ ინტეგრაციას, მულტილატერალიზმს და თავშეკავებას გულისხმობდა. პარალელურად, 1970-იანი წლების დასაწყისში, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დაიწყო ურთიერთობების დათბობის პოლიტიკა აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებთან, საბჭოთა კავშირთან და მის ორბიტაზე მყოფ სახელმწიფოებთან, მათ შორის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

გერმანიის საგარეო პოლიტიკის აღმოსავლეთის ვექტორი, Ostpolitik, თავდაპირველად გერმანიის კანცლერმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა- ვილი ბრანდტმა ჩამოაყალიბა. პოლიტიკის უმთავრეს მიზანს აღმოსავლეთით მდებარე მეზობლებთან ურთიერთობის გაუმჯობესება და ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების დალაგება წარმოადგენდა. პოლიტიკა ურთიერთობების დათბობის (détente) პრინციპს და კონცეფციას - „ცვლილებები დაახლოების გზით“ ეფუძნებოდა, რაც მუდმივი დიალოგითა და დაძაბულობის შერბილებით არსებული სტატუს კვოს

10. ინტერვიუ ელგუჯა ხოკრიშვილთან, საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში. ბერლინი, 28.10.2018
11. ინტერვიუ ელგუჯა ხოკრიშვილთან, საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში. ბერლინი, 28.10.2018
12. მომდევნო თავები ეფუძნება საქართველოს და გერმანიის (ყოფილ) ოფიციალურ პირებთან, პარლამენტარებთან და ექსპერტებთან ინტერვიუებსა და საუბრებს.

ტრანსფორმაციის შესაძლებლობას გულისხმობდა[13]. აღნიშნული პოლიტიკა 1982 წელს მთავრობაში წარმოდგენილი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდშიც გაგრძელდა. ამ ორი პოლიტიკური კონცეფციის, Westbindung-ისა და Ostpolitik-ის კომბინაცია ერთი შეხედვით შესაძლოა წინააღმდეგობრივი ჩანდეს, თუმცა მათი თანაარსებობა აღწერს იმ პრაგმატულ მიდგომას, რომელსაც გერმანია რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციასთან გასამკლავებლად იყენებდა, მდებარეობდა რა ცივი ომის დროინდელი ევროპის ცენტრში, როდესაც ბონი თანაბარი მანძილით იყო დაშორებული ლისაბონსა და მოსკოვს. გერმანია, რომელსაც დასავლეთის ბლოკში მტკიცედ ეკავა საკუთარი ადგილი, მაგრამ ამასთან, აღმოსავლეთის ბლოკთან გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობდა და გაერთიანებისკენ ისწრაფვოდა, ნელნელა ახერხებდა აღმოსავლეთ მეზობლებთან ურთიერთობების ეტაპობრივად გაუმჯობესებას. ეგონ ბარმა, რომელიც გერმანული ostpolitik-ის ერთ ერთი სულისჩამდგმელი იყო, აღნიშნული პრაგმატული პოლიტიკა შეაჯამა, როდესაც განაცხადა, რომ გერმანიისთვის „ამერიკა შეუცვლელია, ხოლო რუსეთის ადგილმდებარეობის შეცვლა შეუძლებელი“.

პოლიტიკა, რომელიც ცივი ომის დროს დაძაბულობის შესარბილებლად შემუშავდა, ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგაც გაგრძელდა. აღმოსავლეთ ევროპასთან, მათ შორის, რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების ქონა, გერმანიის საგარეო პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი გახდა გერმანიის გაერთიანებისა და 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ[14]. დღესაც კი, რუსეთთან კვლავ დაძაბული ურთიერთობების ფონზე, გერმანიის მთავრობა აგრძელებს ხაზგასმას, რომ რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის რუსეთთან თანამშრომლობას საერთაშორისო კრიზისული ვითარებების დასაძლევად [15]. გერმანიის თვალთახედვით, ევროპის უსაფრთხოება შესაძლებელია მხოლოდ რუსეთთან ერთად და არა რუსეთის წინააღმდეგ.

ასეთი მიდგომა გერმანიის საზოგადოებრივ აზრზეც აისახება, როგორც ეს უახლესმა გამოკითხვებმა აჩვენა: კითხვაზე, უფრო მეტად თუ უფრო ნაკლებად უნდა ითანამშრომლოს გერმანიამ რუსეთთან, რესპონდენტების 69%-მა უფრო ინტენსიურ თანამშრომლობას მიანიჭა უპირატესობა[16]. წარსულში ფესვგადგმული აღმოსავლეთის პოლიტიკის (Ostpolitik) ამ განზომილების შედეგად, გერმანიამ მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირები განავითარა აღმოსავლეთ მეზობლებთან, პირველ რიგში კი - რუსეთთან. მაგალითად, გერმანია პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ცივი ომის დროს რუსეთიდან გაზის იმპორტი დაწყო და დღემდე, მოხმარებული გაზის მესამედის იმპორტს რუსეთიდან ახდენს. დღესდღეობით, ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, რუსეთის ფედერაცია გერმანიისთვის სიდიდით მე-13 სავაჭრო პარტნიორია[17]. ამასთან, გერმანიის ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპელ მეზობლებთან ექსკლუზიურად ორმხრივ ფორმატს არ ეფუძნება, არამედ ის, ძირითადად, ევროკავშირის ფარგლებში ხორციელდება, რომელსაც საგარეო პოლიტიკის მიმართულებით მზარდი პასუხისმგებლობა აქვს აღებული. აღმოსავლეთ ევროპასთან მჭიდრო ურთიერთობების გათვალისწინებით, გერმანია ტრადიციულად, ამ რეგიონის ევროპულ ინსტიტუტებში ადვოკატირებას ეწევა და მთავარი გამწევი ძალაა

13. Tuomas Forsberg, “From Ostpolitik to ‘frostpolitik’?: Merkel, Putin and German foreign policy towards Russia,” International Affairs, no. 92 (2016).
14. Andreas Rinke, “Wie Putin Berlin verlor: Moskaus Annexion der Krim hat die deutsche Russland-Politik verändert,” International Politik, no. 3 (2014), https://zeitschrift-ip.dgap.org/de/ip-die-zeitschrift/archiv/jahrgang-2014/mai-juni/wie-putin-berlin-verlor, accessed December 2018; Peer Teschendorf, “Eine europäische Ostpolitik Deutschlands - Koordination statt Dominanz,” in Der Blick der Anderen: Deutsche Ostpolitik aus Sicht der Partner, eds. Matthias Jobelius and Peer Teschendorf (April 2017).
15. Bundesministerium der Verteidigung, “Weissbuch 2016 Zur Sicherheitspolitik und zur Zukunft der Bundeswehr,” 2016.
16. Körber-Stiftung, “The Berlin Pulse: German Foreign Policy in Perspective,” 2018, https://www.koerber-stiftung.de/fileadmin/user_upload/koerber-stiftung/redaktion/the-berlin-pulse/pdf/2018/The-Berlin-Pulse-2018.pdf, წვდომის თარიღი, მარტი, 2019.
17. Statistisches Bundesamt, “Außenhandel: Rangfolge der Handelspartner im Außenhandel der Bundesrepublik Deutschland,” 2018, https://www.destatis.de/DE/ZahlenFakten/GesamtwirtschaftUmwelt/Aussenhandel/Tabellen/RangfolgeHandelspartner.pdf?__blob=publicationFile, წვდომის თარიღი, დეკემბერი, 2018.

ევროკავშირის აღმოსავლეთ პოლიტიკის შემუშავების პროცესში[18].

გერმანია მტკიცედ უჭერდა მხარს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას, 2004 წელს ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით გაფართოების პროცესში. ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებთან ახალი მეზობლების გამოჩენის შემდეგ, უკრაინამ, მოლდოვის რესპუბლიკამ, ბელარუსმა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა გერმანიის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს. თუმცა, 2004 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ, გერმანიის სურვილის მიუხედავად, არ მოახდინა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული დიფერენციაცია. ამის ნაცვლად, აღნიშნულმა პოლიტიკამ მოიცვა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიც, რაც სამხრეთ ევროპის წევრი სახელმწიფოებისა და საფრანგეთის განსხვავებული რეგიონული პრიორიტეტების გამოძახილი იყო[19].

2007 წელს, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტად არჩევამდე და პრეზიდენტობის პერიოდში, გერმანიამ აღნიშნული აღმოსავლეთევროპული რეგიონული ფოკუსის ფარგლებში განავითარა ახალი მიდგომები სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ვექტორისთვის, ასევე, ცენტრალური აზიისა და შავი ზღვის აუზის მიმართ[20]. თუმცა, ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ განზომილება მხოლოდ 2009 წელს წამოიწყო. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განხორციელება შვედეთისა და პოლონეთის ეგიდით დაიწყო, თუმცა პროცესს მტკიცედ უჭერდა მხარს გერმანია, რაც დადასტურდა გერმანიის კანცლერის - ანგელა მერკელის ვიზიტით პარტნიორობის ინიცირების სამიტზე პრაღაში, მაშინ, როდესაც ევროკავშირის სხვა წევრმა სახელმწიფოებმა ღონისძიებაზე მხოლოდ აღმასრულებელი რგოლის დაბალი რანგის წარმომადგენლები მიავლინეს[21].

აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მეტად განვითარების მიმართულებით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის გერმანიას წამყვანი ადგილი უჭირავს: თუ ბალტიის ქვეყნები და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წევრი სახელმწიფოები მხარს უჭერენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის წევრობის შესაძლებლობის მიცემას, სამხრეთ ევროპის ქვეყნებს ნაკლები ინტერესი აქვთ ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების მიმართ[22]. გერმანია დაინტერესებულია ურთიერთობების გაძლიერებითა და გაღრმავებით, თუმცა ამ მომენტისთვის მხარს არ უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის მინიჭებას.

აღმოსავლეთ სამეზობლოს მიმართ გერმანიის დუალისტური მიდგომა, რომელიც ერთი მხრივ, ეფუძნება ორმხრივ ურთიერთობებს და მეორე მხრივ, მოიცავს ასევე ევროპულ განზომილებას, ხშირად იწვევს წინააღმდეგობებსა და დაძაბულობას. გაზსადენი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ წინააღმდეგობრივი ინტერესების ნათელი მაგალითია. თუკი ევროკავშირის არაერთი წევრი ქვეყანა გერმანიას აღმოსავლეთ ევროპის წევრი ქვეყნებისა და მეზობელი ქვეყნების ხარჯზე ამ პროექტზე რუსეთთან თანამშრომლობის გამო აკრიტიკებს, გერმანია გაზსადენის წმინდა ეკონომიკურ ხასიათს უსვამს ხაზს. გარდა ამისა, გერმანიის ინტერესები და ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპასთან გართულებულია აღმოსავლეთ ევროპის შედარებით პატარა სახელმწიფოების წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებით რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით. აღნიშნულ კონტექსტში

18. Frank Schimmelfennig, “Osterweiterung: Strategisches Handeln und kollektive Ideen,” in Europäische Integration, 2nd ed., eds. Markus Jachtenfuchs and Beate Kohler-Koch (Wiesbaden: VS Verl. für Sozialwiss, 2006).
19. Katrin Böttger, “Deutschland, die Östliche Partnerschaft und Russland,” in Handbuch zur deutschen Europapolitik, eds. Katrin Böttger and Mathias Jopp (Baden-Baden: Nomos, 2016).
20. Stefan Meister, “Deutsche Russland-Politik,” International Politik, no. 6 (2012), https://zeitschrift-ip.dgap.org/de/ip-die-zeitschrift/archiv/jahrgang-2012/november-dezember/deutsche-russland-politik, წვდომის თარიღი, დეკემბერი, 2018.
21. Katrin Böttger, “Im Osten nichts Neues? Ziele, Inhalte und erste Ergebnisse der Östlichen Partnerschaft,” integration 32, no. 4 (2009).
22. Katrin Böttger, “Deutschland, die Östliche Partnerschaft und Russland,” in Handbuch zur deutschen Europapolitik, eds. Katrin Böttger and Mathias Jopp (Baden-Baden: Nomos, 2016).

პოზიციის დაფიქსირებისას გერმანია ხშირად დგას დილემის წინაშე.

2018 წლის დასაწყისში, თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაიკო მაასმა (სოციალ-დემოკრატიული პარტია) რუსეთთან მიმართებით უფრო პრინციპული პოზიცია დაიკავა. მან ხაზი გაუსვა ახალი „Ostpolitik"- ის მნიშვნელობას, კერძოდ კი რუსეთთან თანამშრომლობისას თითოეული ევროპული სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის უფრო სასურველი წინადადებების შეთავაზებას[23]. თუმცა, აღნიშნული განცხადებები შესაბამისი პოლიტიკის ცვლილებებით არ გამყარებულა არც გერმანიის და არც ევროკავშირის მხრიდან.

3.1.2 საქართველოს როლი გერმანიის საგარეო პოლიტიკაში

(გეო)პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო, როგორც მდიდარი ენერგო რესურსებისა და ძირითადი სატრანზიტო გზების მქონე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი შავი ზღვის რეგიონის ნაწილი, დასავლეთის და შესაბამისად, გერმანიის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ნათლად გამოხატული პროდასავლური და პროევროპული ორიენტაციით, რეგიონში, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ძალა გავლენისთვის იბრძვის, საქართველო გერმანიის და ევროკავშირის წამყვანი პარტნიორი გახდა. ამასთან, საქართველო ერთერთი სამიზნეა, ევროკავშირის იმ ძალისხმევის მთავარი საყრდენია, რომელიც ფართო სამეზობლოში სტაბილური და დემოკრატიული „მეგობარი სახელმწიფოების რკალის"[24] შექმნას ითვალისწინებს. ამ მიზნით, გერმანიის მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს რეფორმების პროცესში ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის, კანონის უზენაესობის განმტკიცების და ახალგაზრდობისთვის ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნის მიზნით. განვითარების პოლიტიკის მიმართულებით გერმანია საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორია[25].

საქართველოს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიზაციისა და რეფორმების მიმართულებითაც. საქართველო, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის სხვა ქვეყნებისგან, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ ურყევი სწრაფვითაც გამოირჩევა, რაზეც ქვეყნის შიგნით თითქმის ერთსულოვანი შეთანხმება არსებობს[26]. ამავდროულად, საქართველო შავი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვან მოთამაშედ მიიჩნევა, რადგან პრაგმატული მიდგომის საფუძველზე, მეზობლებთან კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას ცდილობს და შესაბამისად, დამაბალანსებლის როლის შეთავსება შეუძლია. ეს კი ქვეყანას ბერლინის მიერ რეგიონის სტაბილიზაციისკენ მიმართული ძალისხმევის კონტექსტში გერმანიისთვის მნიშვნელოვან პარტნიორად აყალიბებს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გერმანიის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს ადგილს განსაზღვრავს, განსაკუთრებული ისტორიული კავშირებია. ედუარდ შევარდნაძის, როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, შემდგომ კი საქართველოს პრეზიდენტის როლი, დავიწყებას არ მისცემია, რაც 2014 წელს წამყვან გერმანულ

23. Bundesregierung, "Rede des Bundesministers des Auswärtigen, Heiko Maas, zum Thema „Mut zu Europa – #EuropeUnited" am 13. Juni 2018 in Berlin," https://www.bundesregierung.de/breg-de/service/bulletin/rede-des-bundesministers-des-auswaertigen-heiko-maas--1147240, წვდომის თარიღი, იანვარი, 2019.
24. Romano Prodi, "A Wider Europe - A Proximity Policy as the key to stability," European Commission, 2002, http://europa.eu/rapid/press-release_SPEECH-02-619_en.htm, წვდომის თარიღი, იანვარი, 2016.
25. Auswärtiges Amt, "Georgien - Beziehungen zu Deutschland," 2019, https://www.auswaertiges-amt.de/de/aussenpolitik/laender/georgien-node/-/201924, წვდომის თარიღი, მარტი, 2019.
26. უახლესი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით, რომელიც 2019 წლის 30 იანვარს გამოქვეყნდა, მოსახლეობის 83% უჭერს მხარს ევროკავშირში გაწევრიანებას, ხოლო 78% - ნატოში გაწევრიანებას. წყარო: NDI. "Public attitudes in Georgia. Results of December 2018 survey." 2019. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Issues%20Poll%20Presentation_December%202018_English_Final.pdf, წვდომის თარიღი, აპრილი, 2019.

გაზეთებში მის სიკვდილთან დაკავშირებულ ცნობებშიც აისახა[27]. საქართველო გერმანიის მთავრობისთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში მცხოვრები გერმანული უმცირესობის გამოც, რომელთა მცირე ნაწილიც გერმანიიდან 200 წლის წინ საქართველოში ემიგრაციის შემდგომ დარჩა.

ეკონომიკური ფაქტორების და მოსახლეობის მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, საქართველოს გერმანიის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისთვის შედარებით მცირე მნიშვნელობა გააჩნია. იმპორტისა და ექსპორტის მოცულობის კუთხით, საქართველო გერმანიისთვის მცირე სავაჭრო პარტნიორია და მხოლოდ 101-ე ადგილს იკავებს[28]. 2018 წელს გერმანიამ საქართველოში 359 მილიონი ევროს მოცულობის ექსპორტი განახორციელა, ხოლო საქართველოდან იმპორტმა 72 მილიონი ევრო შეადგინა. საქართველოში ექსპორტირებული საქონლის ძირითად ნაწილს ავტომობილის ნაწილები, დანადგარები, ფარმაცევტული და საკვები პროდუქტები წარმოადგენს; გერმანია საქართველოდან სპილენძის მადნეულის, ფეროშენადნობისა და ღვინისა და ყურძნის ექსპორტს ეწევა[29]. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ხუთ ქვეყანას შორის გერმანიასთან მხოლოდ სომხეთის სავაჭრო მოცულობაა საქართველოსთან შედარებით ნაკლები. უკრაინა შეუდარებლად დიდი ბაზარი, აზერბაიჯანი კი ენერგო-რესურსების ექსპორტიორი ქვეყანაა. შესაბამისად, ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში ორივე სახელმწიფო გერმანიისთვის უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნებია, ვიდრე საქართველო.

3.1.3 გერმანიის წარმოდგენები და მოლოდინები საქართველოს მიმართ

გერმანულ საზოგადოებაში საქართველოს შესახებ ცოდნა და ინფორმაციის დონე შედარებით დაბალია[30]. ძირითადად, გავრცელებულია ორი ერთმანეთის საპირისპირო წარმოდგენა: ერთი მხრივ, საქართველო პოპულარულ და მეინსტრიმულ ტურისტულ მიმართულებად ტრანსფორმირდება, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ქართული კულტურა და ლიტერატურა გერმანიაში სულ უფრო პოპულარული ხდება. 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე საქართველოსთვის საპატიო სტუმრის სტატუსის მინიჭებამ კიდევ უფრო მეტად გაზარდა ქვეყნის მიმართ ინტერესი[31]. ამავდროულად, მედიაში ჩნდება ცნობები საქართველოს მოქალაქეების შესახებ - მათ შორის, სავარაუდოდ. თავშესაფრის მაძიებლების შესახებაც - რომლებიც ქურდობასა და ორგანიზებულ დანაშაულში არიან ჩართულნი, რაც გერმანიაში მცხოვრები ქართველების უარყოფით იმიჯის შექმნას უწყობს ხელს. ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა 2016 წელს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შემოღების საკითხზე მსჯელობისას, როდესაც გერმანიამ საფრანგეთთან ერთად გადაავადა უვიზო მიმოსვლის დაწყება და შეჩერების მექანიზმის შემოღებას დაუჭირა მხარი[32]. ამასთან, საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის სწრაფი ზრდა 2018 წლის დასაწყისში მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, რასაც მოყვა გერმანელი პოლიტიკოსების მხრიდან მოწოდებები, მხედველობაში მიღებულიყო უვიზო მიმოსვლის შეჩერების საკითხი და საქართველო უსაფრთხო ქვეყნად

27. Uwe Klußmann, "Zum Tode Eduard Schewardnadses: Sargträger der Sowjetunion," Spiegel Online, July 07, 2014, http://www.spiegel.de/politik/ausland/eduard-schewardnadse-ist-tot-nachruf-auf-georgiens-ex-praesident-a-979632.html, წვდომის თარიღი, იანვარი, 2019.
28. Statistisches Bundesamt, "Außenhandel: Rangfolge der Handelspartner im Außenhandel der Bundesrepublik Deutschland," 2019, https://www.destatis.de/DE/Themen/Wirtschaft/Aussenhandel/Tabellen/rangfolge-handelspartner.pdf?__blob=publicationFile&v=7, წვდომის თარიღი, მაისი, 2019.
29. Ost-Ausschuss - Osteuropaverein der Deutschen Wirtschaft, "Georgien," 2018, https://www.oaoev.de/de/georgien, წვდომის თარიღი, დეკემბერი, 2018.
30. Brigitte Baetz and Uli Hufen, "Eine Lange Nacht über Georgien. Das verunsicherte Paradies," 2018, https://www.deutschlandfunk.de/eine-lange-nacht-ueber-georgien-das-verunsicherte-paradies.704.de.html?dram:article_id=427882, წვდომის თარიღი, აპრილი, 2019.
31. Silvia Stöber, "Deutsch-Georgische Beziehungen in turbulenten Zeiten – Was bleibt, was ändert sich?," Heinrich Böll Stiftung, 2017, https://ge.boell.org/en/2017/12/28/deutsch-georgische-beziehungen-turbulenten-zeiten-was-bleibt-was-andert-sich, წვდომის თარიღი, იანვარიმ 2019.
32. Alexander Hertel, Georgien - Visafreiheit mit langem Vorlauf (MDR, 01.03.2017), https://www.mdr.de/heute-im-osten/georgien-visafreiheit-100.html, წვდომის თარიღი, იანვარი, 2019.

გამოცხადებულიყო[33]. გერმანიის ბუნდესტაგში მიიღეს კანონი საქართველოს სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით (მაღრიბის სამ სახელმწიფოსთან ერთად), თუმცა ამ ეტაპზე კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების საბოლოო პროცესი ბუნდესრატშია შეჩერებული და ვერ ხერხდება მისი რატიფიკაცია მწვანეთა და მემარცხენეთა პარტიების წინააღმდეგობის გამო.

გერმანიაში საქართველოს საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და ოფიციალური პირები, საქართველოს აღიქვამენ, როგორც ძალიან ამბიციურ პარტნიორს, რომელსაც გერმანიის და, ზოგადად, დასავლეთის ქვეყნების მიმართ მაღალი მოლოდინები გააჩნია. ამასთან, გერმანიაში გადაწყვეტილების მიმღები პირები აღფრთოვანებულნი არიან როგორც ქართული პოლიტიკური ელიტის, ისე საზოგადოების მხრიდან ურყევი და მტკიცე პროდასავლური ორიენტაციით. გერმანია ასევე აფასებს საქართველოს წვლილს საერთაშორისო მისიებში, მაგ. ავღანეთში. შესაბამისად, საქართველო განიხილება როგორც მჭიდრო და სანდო პარტნიორი, რომელსაც რთული გეოპოლიტიკური პირობების ფარგლებში უწევს არსებობა. გერმანელებისთვის ცნობილია საქართველოს წინაშე მდგარი მრავალმხრივი გამოწვევები, ითვალისწინებენ რა იმ ფაქტს, რომ საქართველო გეოგრაფიულად ესაზღვრება ან ახლოსაა დიდ სახელმწიფოებთან და მათი ინტერესების გადაკვეთის წერტილში მდებარეობს.

თუმცა ზოგჯერ, საქართველოს პარტნიორებისთვის გადამეტებულია საქართველოს მაღალი მოლოდინები და ამბიციები, რადგან ყოველთვის არ არსებობს მათი შესრულების შესაძლებლობა. გერმანელი ექსპერტები და ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ ამგვარი ამბიციური მიზნების დასახვით, საქართველო რისკავს შედარებით მცირე, მოზომილი ნაბიჯების უყურადღებოდ დატოვებას, რაც აუცილებელია რეფორმების პროცესში: ზოგჯერ უფრო მეტი ინტერესია მიმართული ოფიციალური მოთხოვნების ზედაპირულ შესრულებაზე, ვიდრე იმაზე, რომ მოხდეს ამ მოთხოვნების ეფექტური იმპლემენტაცია. შედეგად, ევროკავშირის წევრობის პერსპექტივაზე კითხვის პასუხად, შორეულ მომავალშიც კი, გერმანელი ოფიციალური პირები და პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ არაერთი რეფორმა ჯერ კიდევ გასატარებელია და რომ მათი მდგრადი იმპლემენტაცია წევრობის პერსპექტივის წინაპირობას წარმოადგენს. საქართველოს შესახებ გერმანიის პერსპექტივაზე ასევე მოქმედებს მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული დაძაბულობა. გერმანია რუსეთთან მუდმივი დიალოგის პრაგმატულ პოლიტიკას ატარებს, მოსკოვსა და ნატოს, ასევე ევროკავშირს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად. ამიტომ, ზოგიერთი გერმანელი პოლიტიკოსი საქართველოს დამოკიდებულებას რუსეთთან მიმართებაში ხანდახან ზედმეტად კონფრონტაციულად აღიქვამს და ნაკლებად კონფრონტაციულ მიდგომას მიესალმება.

გერმანიის მთავრობას აქვს მოლოდინი, რომ საქართველო შეინარჩუნებს პროდასავლურ ორიენტაციას და არ დაიშურებს ძალისხმევას, რომ უზრუნველყოფილ იქნას ასოცირების შესახებ შეთანხმების მდგრადი იმპლემენტაცია და დაცული იყოს ისეთი ფუნდამენტური ევროპული ღირებულებები, როგორიცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანთა უფლებები, მათ შორის უმცირესობების უფლებები. გერმანია ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას ორ სხვადასხვა პროცესად აღიქვამს. ზოგიერთ გერმანელ გადაწყვეტილების მიმღებ პირს მიაჩნია, რომ სასურველი იქნება, თუ საქართველო - ამ ორგანიზაციებში გაწევრიანებაზე, როგორც საბოლოო მიზანზე ფოკუსირების ნაცვლად - აღიარებს ინტეგრაციის მიღწეული ეტაპის მნიშვნელობას და იმ შესაძლებლობებს, რასაც იგი იძლევა. მათი თქმით, საქართველოს მთავრობამ, ისევე როგორც საზოგადოებამ, რეფორმების პროცესი უნდა აღიქვან, როგორც საკუთრივ მიზანი, და არა როგორც გაწევრიანების მიზნის მიღწევის საშუალება.

პოლიტიკური ურთიერთობების ხარისხის შეფასებისას, გერმანელი რესპონდენტები ურთიერთობებს აფასებენ, როგორც პოზიტიურს, მჭიდროსა და ინტენსიურს. შესაბამისად, გერმანული მხარე ვერ ხედავს ორმხრივი ურთიერთობების მეტად გაძლიერებისა და განახლების აუცილებლობას.

33. Manuel Bewarder and Florian Flade, “Bundesregierung besorgt über hohe Asylzahlen aus Georgien,” Welt, February 19, 2018, https://www.welt.de/politik/deutschland/article173722178/Innere-Sicherheit-Bundesregierung-besorgt-ueber-hohe-Asylzahlen-aus-Georgien.html, წვდომის თარიღი, იანვიარი, 2019.

3.2 ქართული პერსპექტივა

3.2.1 საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთსა და დასავლეთს შორის

გერმანიის მსგავსად, საქართველოს საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს დასავლეთსა და რუსეთს შორის ბალანსის პოლიტიკას; თუმცა, გერმანიისგან განსხვავებით, საქართველოს მანევრის ნაკლები შესაძლებლობა აქვს და გაცილებით მტრულ გარემოში უწევს არსებობა. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკას ორი უცვლელი ფაქტორი განაპირობებდა: 1) რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა და შესაბამისად, მისგან დისტანცირების სურვილი და 2) ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მიზანი. ამ სურვილის ფესვები საქართველოს „ევროპულ“ ქვეყნად თვითიდენტიფიცირების საფუძვლებში უნდა ვეძიოთ. ორივე მიმართულება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და საქართველოს მიდგომებისა და საგარეო პოლიტიკის, მათ შორის, გერმანიასთან ურთიერთობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია.

საქართველოს რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების დიდი ისტორია აქვს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე უარი განაცხადა და ამის სანაცვლოდ, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება გადაწყვიტა. თუმცა, მემკვიდრეობით დატოვებული პოლიტიკური კულტურის, რომელსაც დემოკრატიული ტრადიცია არ ჰქონდა, გამოუცდელი საგარეო პოლიტიკური ელიტისა და მწირი ფინანსური რესურსების გამო, ედუარდ შევარდნაძის მთავრობის პერიოდში საქართველოს საბოლოოდ მაინც მოუწია თანამეგობრობაში გაწევრიანება[34]. საქართველოს ასევე ასუსტებდა წნეხი რუსეთის მხრიდან, ტერიტორიული კონფლიქტები და სამოქალაქო ომი. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში საქართველო რუსეთის ორბიტაზე დარჩა, ქვეყანას არასდროს დაუკარგავს სურვილი ჩამოშორებოდა მოსკოვის გავლენას[35]. 1990-იანი წლების შუა პერიოდამდე, საქართველოს, რუსეთის გარდა, სხვა არჩევანი არ ჰქონდა, რადგან რუსეთი ჰეგემონი იყო და იმ პერიოდში რეგიონში სხვა ალტერნატივა არ არსებობდა[36].

რუსეთის პოლიტიკით და იმ დროისთვის მისი პრორუსული ორიენტაციის მიუხედავად, კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით რუსეთის მხრიდან მხარდაჭერის არქონის გამო, იმედგაცრუებულმა შევარდნაძემ პირველივე შესაძლებლობა გამოიყენა, რომ საქართველო დასავლეთს დაახლოებოდა, 1990-იანი წლებში დასავლეთის სხვადასხვა ენერგო-პოლიტიკურ პროექტებში მონაწილეობის გზით. თავდაპირველად, დასავლეთის მოქმედებები უფრო ოპორტუნისტული იყო, ინსტიტუციონალიზებული ურთიერთობებიც - ზედაპირული და მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირთან პარტნიორობის შეთანხმებებს ფარავდა. შიდა პოლიტიკური სისუსტე და ცუდი მმართველობა კიდევ უფრო მეტად ართულებდა დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავებას. ამავდროულად, შევარდნაძის პერიოდის საქართველო, პრაქტიკულად, არშემდგარი სახელმწიფო იყო. შესაბამისად, არც რუსეთი და არც დასავლეთი, საქართველოს მთავრობის განცხადებებს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების სურვილთან დაკავშირებით, სერიოზულად არ აღიქვამდა[37].

2000-იანი წლების დასაწყისში, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა არაერთი მიზეზის გამო. მთავრობა, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდა, უფრო აქტიურად და მიზანმიმართულად ახორციელებდა პროდასავლურ პოლიტიკას, რასაც

34. Kornely Kakachia, “Georgia: Identity, Foreign Policy, and the Politics of “Euro-Atlantic Integration,” in The South Caucasus - Security, Energy and Europeanization, eds. Meliha B. Altunışık and Oktay F. Tanrisever (London: Routledge, 2017).
35. Giorgi Gvalia and Bidzina Lebanidze, “Geopolitics and Modernization: Understanding Georgia’s Pro-Western Assertiveness since the Rose Revolution,” in Modernization in Georgia, ed. Giga Zedania (Peter Lang AG, 2018).
36. David S. Siroky, Alan J. Simmons, and Giorgi Gvalia, “Vodka or Bourbon? Foreign Policy Preferences Toward Russia and the United States in Georgia,” Foreign Policy Analysis 13, no. 2 (2017).
37. Bidzina Lebanidze, Russia, EU and the post-Soviet democratic failure (Wiesbaden: Springer, 2019).

ზურგს სამაგალითო რეფორმების ტალღა უმაგრებდა[38]. შედეგად, ქვეყანა არშემდგარი სახელმწიფოდან წამყვან რეგიონულ რეფორმისტ სახელმწიფოდ ტრანსფორმირდა სულ რამდენიმე წელში[39]. დასავლეთის ინტერესი ამ ტრანსფორმაციის კვალდაკვალ იზრდებოდა. საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული წარმატებული რეფორმები დროში დაემთხვა აშშ-ში ნეო-კონსერვატორების დომინირებას, რომლებიც საქართველოს წარმატებულ მაგალითად მიიჩნევდნენ დემოკრატიის გავრცელების თვალსაზრისით და შესაბამისად, ქვეყნის მხარდაჭერასაც აძლიერებდნენ[40].

ამ პერიოდში, ევროკავშირმა აღმოსავლეთით ძირითადი გაფართოება დაასრულა და ახალ სამეზობლოზე, მათ შორის, საქართველოზე გადაიტანა ყურადღება. თუმცა, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, მათ შორის, გერმანია, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინსტიტუციურ გაერთიანებას და ნატოში გაწევრიანებას, აშშ-ს მხრიდან გამოხატული ისეთივე მტკიცე მხარდაჭერით არ ხვდებოდა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ მთელი იმედები ვაშინგტონზე დაამყარა და ევროპული სკეპტიციზმის გადალახვას აშშ-ზე სრულად მინდობით შეეცადა[41]. თუმცა, ამ მიდგომამ არ გაამართლა 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, სადაც საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოში გაწევრიანება მხოლოდ სამომავლო მიზნად განისაზღვრა, კონკრეტული ვადების გარეშე. ალიანსის მსგავს პოზიციაზე, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გერმანიისა და საფრანგეთის წინააღმდეგობამ საქართველოსა და უკრაინის ნატოში სწრაფ გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ამასთან, რუსეთთან 2008 წლის ომის შედეგად, საქართველოს მთავრობა კიდევ უფრო მეტად გახდა ევროკავშირზე დამოკიდებული. აგვისტოს ომისა და აშშ-ს პრეზიდენტად ბარაკ ობამას ინაუგურაციის შემდეგ, ამერიკის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა გარკვეულწილად შესუსტდა. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის როლი უსაფრთხოების, ეკონომიკისა და ინსტიტუციური ინტეგრაციის სფეროებში.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომამდე საქართველოს მთავრობის მთავარი მიზანი ნატოში გაწევრიანება იყო, დღეს ნატოსკენ ქვეყნის სწრაფვას ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილი დაემატა, რასაც თავისი პრაქტიკული მიზეზები აქვს: თუ საქართველოს ნატოში ინტეგრაცია 2008 წლის შემდეგ სტაგნაციას განიცდის, ევროკავშირთან ქვეყნის ურთიერთობები უფრო დინამიურად ვითარდება. ჩანს ხელშესახები შედეგები, მაგალითად უვიზო მიმოსვლა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება. „ქართული ოცნების“ მთავრობა აშშ-სთან სტრატეგიულ პარტნიორობას აგრძელებს, თუმცა ასევე მიაჩნია, რომ საქართველო ევროკავშირში უნდა გაწევრიანდეს. შესაბამისად, ტრამპის ადმინისტრაციასთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების კვალდაკვალ, თბილისმა უფრო მეტად ევროკავშირზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარება და ბერლინსა და პარიზთან განსაკუთრებული ურთიერთობების ჩამოყალიბება დაიწყო. შედეგად, ორმხრივი ურთიერთობები უფრო მეტად გაძლიერდა, მაგალითად გერმანიასა და საქართველოს შორის უფრო მაღალი დონის ვიზიტების ორგანიზებით.

თუმცა, დღეის მდგომარეობით, საქართველოს უმთავრეს გეოპოლიტიკურ მიზანს როგორც ნატოში, ისე ევროკავშირში ფორმალური გაწევრიანება წარმოადგენს, რასაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა დიდი ენთუზიაზმით არ ხვდება[42]. ინტერესების მსგავსმა შეუთანხმებლობამ, შესაძლოა, მეტად გააძლიეროს წარმოდგენა, რომ საქართველომ ამოწურა

38. Silvia Stöber, “German Foreign Policy Explained,” 2017, http://gip.ge/german-foreign-policy-explained/, წვდომის თარიღი, ნოემბერი, 2018.
39. World Bank, Fighting corruption in public services: Chronicling Georgia’s reforms (Washington D.C.: World Bank, 2012).
40. Lincoln A. Mitchell, Uncertain democracy: U.S. foreign policy and Georgia’s Rose Revolution (Philadelphia: University of Pennsylvania Press, 2009).
41. ირაკლი მენაღარიშვილი, ინტერვიუ ავტორებთან, თბილისი, 2018.
42. Kornely Kakachia, “A Reluctant Partner: Georgian-German Relations Revisited,” 2017, http://www.ponarseurasia.org/memo/reluctant-partner-georgian-german-relations-revisited, წვდომის თარიღი, ნოემბერი, 2018.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით გათვალისწინებული შესაძლებლობები[43] მაშინ, როდესაც ახალი ინიციატივები ჯერ არ ჩანს[44]. მეორე მხრივ, 2008 წლის შემდეგ, საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან არ გაუმჯობესებულა. შეიძლება ითქვას, რომ გაუარესდა კიდეც რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) აღიარების გამო[45]. რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობები შედარებით ნაკლებ კონფრონტაციული გახდა 2012 წელს მთავრობის ცვლილების შემდეგ, რასაც ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების აღდგენა მოჰყვა. უსაფრთხოებისა და კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით, კვლავ არ შეინიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის კვლავ ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს.

3.2.2 გერმანიის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში

საქართველოსთვის გერმანია ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპელი პარტნიორი სახელმწიფოა, მუხედავად იმისა, რომ ურთიერთობების მრავალი მიმართულებით გაუმჯობესება შეიძლება. გერმანიის შედარებით გავლენიანი პოზიციის გათვალისწინებით, ის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა, როდესაც საქმე საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალს და ევროკავშირთან და ნატოსთან თანამშრომლობის სხვა ფორმატებს ეხება, რადგან საქართველოს ნატოსა და ევროკავშირთან დაახლოების ტემპსა და ხარისხზე გერმანიას ძლიერი გავლენა აქვს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დაბლოკვა შეუძლია. ამასთან, გერმანიას გადამწყვეტი როლი აქვს საქართველოს მთავრობისთვის განვითარების და ჰუმანიტარული პოლიტიკის მიმართულებით თანამშრომლობის თვალსაზრისით.

გერმანია აქტიურად იკავებდა და იკავებს საქართველოსთვის მედიატორისა და ადვოკატის როლს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში და აქტიურად მონაწილეობს საქართველოში მოქმედ ყველა საერთაშორისო მისიაში (გაერო, ეუთო, ევროკავშირი). გერმანია, ასევე, იყო საქართველოს მეგობრების ჯგუფის აქტიური წევრი, რომელიც 1990-იან წლებში საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე სამუშაოდ გაეროს გენერალური მდივნის მხარდასაჭერად შეიქმნა. 2003 წელს, ევროკავშირში გერმანიის ინიციატივით შეიქმნა სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის პოზიცია. 1990-იან წლებში კონფლიქტის გადაჭრის პროცესში გერმანიის აქტიურ ჩართულობას მნიშვნელოვანი შემაკავებელი ეფექტი ჰქონდა და მან კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილებას შეუწყო ხელი, თუმცა გერმანიის დიპლომატიურმა მიდგომამ ვერ მოახერხა კონფლიქტის გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება ან საქართველოში და მის გარშემო უსაფრთოებისა და პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესება. რუსეთთან ომის შემდეგ გერმანიამ ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონფლიქტის რეგიონების ადმინისტრაციულ ხაზთან ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) გაგზავნაში. ევროკავშირის მონიტორინგის მისია ერთადერთი საერთაშორისო მისიაა რეგიონში, რომლის გაგრძელებასაც რუსეთი ვერ აბრკოლებს. შესაბამისად, ბოლო 27 წლის განმავლობაში, აშშ-სთან ერთად, გერმანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ძირითადი მხარდამჭერი იყო.

საქართველოს პერსპექტივიდან, არსებობს სავაჭრო და საინვესტიციო მიმართულებით ურთიერთობების გაუმჯობესების საჭიროება. გერმანია საქართველოსთვის სიდიდით

43. ცხადია ასოცირების შესახებ შეთანხმების სათანადო იმპლემენტაცია გრძელვადიანი პროცესი და საქართველოსთვის მეტი სარგებლი მომტანი იქნება. თუმცა, ასოცირების შესახებ შეთანხმების მიმზიდველობამ, როგორც წამახალისებელმა ფაქტორმა, დაიკლო მისი ხელმოწერისა და ფორმალურად ძალაში შესვლის შემდეგ.
44. Bidzina Lebanidze, Life Without EU Membership: The Case for a Multi-Speed EaP (Georgian Institute of Politics, 2017).
45. Tedo Dzhaparidze, “EU versus Russia: Lessons in Victory Classics. A View from Tbilisi,” Russia in Global Affairs, 2013, http://eng.globalaffairs.ru/book/EU-versus-Russia-Lessons-in-Victory-Classics-A-View-from-Tbilisi-16133.

მხოლოდ მე-6 სავაჭრო პარტნიორია. გერმანია არ შედის საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნების რიგში. 2018 წელს, საქართველოს ექსპორტის მთლიანი მოცულობის მხოლოდ 2% მოდიოდა გერმანიაზე და გერმანია საქართველოს საექსპორტო პარტნიორების რიგში მხოლოდ მე-14 ადგილზე იმყოფებოდა[46]. გერმანელი ინვესტორები თავს იკავებენ საქართველოში ინვესტირებისაგან. საქართველოში ინვესტორებისთვის არსებული გამარტივებული გარემოს მიუხედავად (ბიზნესის კეთების ინდექსში მე-9 ადგილი, 2018წ.)[47], გერმანული ფირმები და ინვესტორები, როგორც წესი მნიშვნელოვან ინვესტიციებს საქართველოში არ ახორციელებენ. 2018 წლის პირველ ორ კვარტალში, გერმანია საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტორების ათეულში მე-10 ადგილს იკავებდა, 13.2 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიციებით[48]. რესურსების მოცულობასა და მოსახლეობის რაოდენობასთან ერთად, გერმანული ინვესტიცია საქართველოს ირგვლივ არსებულ პოლიტიკურ და უსაფრთხოების გარემოზეც არის დამოკიდებული.

3.2.3 საქართველოს წარმოდგენები და მოლოდინები გერმანიის მიმართ

ისტორიულად, საქართველო გერმანიას აღიქვამს, როგორც პოლიტიკურ მფარველს და მთავარ პოლიტიკურ მოკავშირეს, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველო გერმანიის მიმართ კრიტიკული პოზიციებით გამოირჩევა და ბერლინს საკუთარი ევროატლანტიკური ამბიციების ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევს. ეს დამოკიდებულება განპირობებულია გერმანიის (საფრანგეთთან ერთად) გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭებაზე 2008 წელს. საქართველოს ჰქონდა მოლოდინი, რომ გერმანია მისთვის MAP-ის მინიჭებას მხარს დაუჭერდა და გაკვირვებული დარჩა გერმანიის მიერ გაწეული წინააღმდეგობით. შესაბამისად, საქართველო გერმანიას არასანდო პარტნიორად აღიქვამდა და რუსეთის ინტერესების ზედმეტად გათვალისწინებაში ადანაშაულებდა[49]. ამასთან, საქართველოს მთავრობა გერმანიას ღირებულებების ღალატშიც სდებდა ბრალს, რადგან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან მალევე, გერმანიამ აქტიურად სცადა ევროკავშირსა და რუსეთს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების განახლება[50].

ამასთან, თბილისი მეტ დაფასებას ელოდება საერთაშორისო უსაფრთხოების მისიებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის. ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს ავღანეთში ყველაზე მეტი სამხედრო მოსამსახურე ჰყავს, ნატოს წევრი

46. WTEx, "Georgia's Top Trading Partners," 2019, http://www.worldstopexports.com/georgias-top-15-import-partners/, წვდომის თარიღი, მაისი, 2019.
47. MESD, "Doing Business 2018," 2018, http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2018_geo.pdf, წვდომის თარიღი, იანვარი, 2019.
48. Geostat, "Foreign Direct Investments according to countries," 2018, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo, წვდომის თარიღი, იანვარი, 2019.
49. აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ღიად ადანაშაულებდნენ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის საქართველოსთვის მინიჭების მოწინააღმდეგეებს, გერმანიას კი პირველ რიგში იმაში, რომ სამოქმედო გეგმის მინიჭების გადაწყვეტილების დაბლოკვით, მათ მწვანე შუქი აუნთეს რუსეთს იმისათვის, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომი ეწარმოებინა. საქართველოს ყოფილმა ოფიციალურმა პირმა, გერმანიაში საქართველოს ელჩმა, რომელიც საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს თავმჯდომარეობდა ბუქარესტის სამიტის დროს, ამ ნაშრომის ავტორებთან საუბრისას აღნიშნა, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მისაღებად გაწეული უზარმაზარი მოსამზადებელი სამუშაოების მიუხედავად, „მერკელმა 2008 წელს ცალსახად დაბლოკა [საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭების პროცესი] რუსეთის ფაქტორის, მისი მოთხოვნის გამო" და რომ პრობლემა გერმანია იყო და არა საფრანგეთი, რადგან საფრანგეთი მხარს უჭერდა საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭების საკითხს გერმანიის თანხმობის შემთხვევაში.
50. Tagesspiegel, "Saakaschwili warnt Deutschland vor "Verrat"," 2008, http://www.tagesspiegel.de/politik/eu-russland-abkommen-saakaschwili-warnt-deutschland-vor-verrat/1829816.html 17.01.17, წვდომის თარიღი, ოქტომბერი, 2018.

სახელმწიფოების უმრავლესობაზე მეტიც კი[51]. საქართველოში ხშირად სწუხან, რომ მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა და გაღებული მსხვერპლისა, 2008 წლის ბუქარესტის სამიტიდან 11 წლის შემდეგ, იმ დროს მიცემულ პირობაზე მეტი - რომ ერთ დღეს საქართველო ნატოში გაწევრიანდება - არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა აცნობიერებს, რომ საერთაშორისო მისიებში ჩართულობა ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანების გარანტია არ არის, მაინც არსებობს მოლოდინი, რომ გერმანია და სხვა ევროპული სახელმწიფოები საპასუხო ნაბიჯებს გადადგამენ, რომ დაამტკიცონ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების რეალურობა.

ამასთან, საზოგადოება და პოლიტიკური კლასი ღიზიანდება საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართ გერმანიის დამოკიდებულებით. აქაც გერმანია კვლავ „ხელისშემშლელ" ფაქტორად აღიქმება: მაგალითად, თავის დროზე, გერმანიის გამო, რამდენიმე თვით გადაიდო ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედება და გერმანიის მხრიდან გაისმა მუქარა, რომ საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის გაზრდის შემთხვევაში, უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შეჩერება მოხდებოდა. უვიზო მიმოსვლის შეჩერების საფრთხემ კიდევ ერთხელ გააძლიერა გერმანიის პოლიტიკის ნეგატიური აღქმა საქართველოსთან მიმართებით: ბერლინმა ჯერ მაქსიმალური მხარდაჭერა გამოამჟღავნა, ხოლო შემდეგ უკან დაიხია.

თბილისის წარმოდგენებს, რომ გერმანია ნეგატიურ გავლენას ახდენს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებზე, ამწვავებდა პოლიტიკოსების განცხადებები, განსაკუთრებით საქართველოს წინა მთავრობის წარმომადგენლების მიერ[52]. შეინიშნება ტენდენცია ზოგიერთი პოლიტიკოსი აჩენს მაღალ მოლოდინებს და ამომრჩეველს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის არარეალისტურად მოკლე ვადებს პირდება. მცდელობა, რომ საქართველოს პროდასავლური საგარეო კურსის გარშემო მოსახლეობის მხარდაჭერის მობილიზება მოხდეს, ხანდახან ნატოსა და ევროკავშირის მიმართ უფრო მეტ სკეპტიციზმს იწვევს, როდესაც ეს იმედები არ მართლდება.

რაც შეეხება მომავალში გერმანიასთან ორმხრივ ურთიერთობებს, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იმედი არის ინსტიტუციონალიზებული სტრუქტურული დიალოგის ფორმატი, რომელიც მოიცავს რეგულარულ, მაღალი დონის შეხვედრებს უსაფრთხოების, თავდაცვის, ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში. ეს ფორმატი საქართველოსთვის რეფორმების პროცესის, რეგიონული უსაფრთხოების საკითხების, რუსული ოკუპაციისა და ნატო-საქართველოს ურთიერთობების ორმხრივ ფორმატში რეგულარული განხილვების შესაძლებლობას შექმნის[53].

51. NATO, "Resolute Support Mission (RSM): Key Facts and Figures," 2019, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2019_02/20190215_2019-02-RSM-Placemat.pdf, წვდომის თარიღი, აპრილი, 2019.
52. Tagesspiegel, "Saakaschwili warnt Deutschland vor "Verrat"," 2008, http://www.tagesspiegel.de/politik/eu-russland-abkommen-saakaschwili-warnt-deutschland-vor-verrat/1829816.html 17.01.17, წვდომის თარიღი, ოქტომბერი, 2018.
53. ინტერვიუ ელგუჯა ხოკრიშვილთან, საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში. ბერლინი, 28.10.2018

4. შეჯამება და რეკომენდაციები

როგორც უკვე აღინიშნა, გერმანიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის მისწრაფებები, მათი წარმოდგენები და მოლოდინები ერთმანეთთან თანხვედრაში არაა. ამ ეტაპზე იკვეთება, რომ ორივე მხარისთვის ბურთი მეორის მოედანზეა; მიაჩნიათ, რომ მეორე მხარეა პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე პასუხისმგებელი. გერმანიას სურს, რომ საქართველომ განაგრძოს რეფორმების გატარება ევროატლანტიკური ინტეგრაციის (როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმების, ისე ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის) ფარგლებში და აუცილებელი რეფორმების გატარება დაისახოს საბოლოო მიზნად. საქართველო, მეორე მხრივ, გერმანიისგან და სხვა ევროპელი პარტნიორებისგან მოელის საკუთარი ძალისხმევის დაფასებას და ახალ, მოტივაციის გამაძლიერებელ შეთავაზებებს რეფორმების პროცესის მხარდასაჭერად. იმისათვის, რომ მოლოდინები შეჯერდეს, ორივე ქვეყანამ უნდა სცადოს მეორე მხარის მოსაზრებების დამაბრკოლებელი ფაქტორების მხედველობაში მიღება და გათვალისწინება.

თბილისმა უფრო პროაქტიულად უნდა იმუშაოს ევროკავშირის პარტნიორების, მათ შორის, გერმანიის მხრიდან არსებული პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად. ევროპელებისთვის ბრალის დადების ნაცვლად, საქართველომ უნდა აღიაროს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროპელ პარტნიორებთან კავშირების გამყარებისთვის საკმარისი ყურადღება არ მიუქცევია, ყოველ შემთხვევაში არა იმ დონეზე, რა დონეზეც ეს აშშ-ს შემთხვევაში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე, ზოგიერთი ევროპელი პარტნიორი, მათ შორის გერმანია, საქართველოს ევროპულ მომავალთან მიმართებაში გაურკვევლობას აჩენს, საქართველომ გერმანიასთან, როგორც ევროპის საკითხებში ცენტრალურ აქტორთან და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში მნიშვნელოვან მოთამაშესთან, კავშირების გამყარებაზე უნდა იმუშაოს. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს გერმანიისა და ევროპის მხრიდან დასმული პრობლემური საკითხები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ქვეყანას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების სიაში წინ წასწევს.

თავისმხრივ, ბერლინმა საქართველოსთან ორმხრივ ურთიერთობებში მეტი პოლიტიკური და ფინანსური ინვესტიცია უნდა ჩადოს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ევროკავშირის სამეზობლოში სტაბილურობის, მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცებას. გერმანიის მხრიდან, რეფორმებზე, როგორც საბოლოო მიზანზე ყურადღების გამახვილება მართებულია - თუმცა, თუ დამატებითი მოტივაცია არ შეიქმნა, არსებობს რისკი, რომ რეფორმების ბიძგი შენელდება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივით გათვალისწინებული ზოგიერთი შესაძლებლობით უკვე სარგებლობს. ბერლინმა ასევე, უნდა გაითვალისწინოს სიმბოლიზმის მნიშვნელობა პოლიტიკოსებისა და საზოგადოებისთვის საქართველოში. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, მნიშვნელოვანია პარტნიორობის ალტერნატიულ ფორმატებზე ფიქრი, როგორც ორმხრივ, ისე ევროკავშირისა და ნატოს დონეზე გაღრმავებული ინტეგრაციის მიმართ მხარდაჭერის სიმბოლურად გამოსახატავად. დაბოლოს, გერმანიამ და ევროკავშირის სხვა წევრმა სახელმწიფოებმა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში რუსეთის აგრესიით გამოწვეულ უსაფრთხოების გამოწვევებს უნდა უპასუხონ. რუსეთის იძულების და ძალადობრივი მოქმედებების წინააღმდეგ გადამწყვეტი ღონისძიებების გატარების გარეშე, შეუძლებელი იქნება ევროპის გარშემო წარმატებული და სტაბილური „მეგობრების წრის“ ჩამოყალიბება.

ბევრ საკითხთან დაკავშირებით არსებული წინააღმდეგობრივი პოზიციების გამო, გერმანიას და საქართველოს გაუჭირდებათ ახლო მომავალში აზრთა სხვადასხვაობის სრულიად აღმოფხვრა. ამის მიუხედავად, კეთილმა ნებამ და მზადყოფნამ, რომ მოხდეს მეორე მხარის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინება, შესაძლოა, რამდენიმე მიმართულებით ეს განსხვავებები შეამციროს. ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების მიზანია გააუმჯობესოს ორმხრივი ურთიერთობები როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროებში და გაძლიერდეს ურთიერთგაგება და შემცირდეს არასწორი წარმოდგენები, როგორც პოლიტიკურ ელიტებს, ისე საზოგადოებებს შორის:

საქართველოს მთავრობისთვის და ქართველი პოლიტიკოსებისთვის

❖ გერმანია-საქართველოს ურთიერთობებში არსებული განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინებით, საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ღირებულებების მნიშვნელობაზე იმ მიზნით, რომ გერმანელ პარტნიორებთან ტექნოკრატიული პროცესების მახეში არ აღმოჩნდეს. მეტად უნდა გაესვას ხაზი ევროპულ ღირებულებებს და ორმხრივი ურთიერთობების ხელშეწყობას, ისევე როგორც, საქართველოს ევროპულ მომავალს.

❖ საქართველოს მთავრობამ უნდა სცადოს, გააძლიეროს გერმანულ საზოგადოებაში საქართველოს შესახებ პოზიტიური იმიჯის გაძლიერება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საქართველომ შესაძლოა დააფინანსოს რეკლამები გერმანულ ტელევიზიებსა თუ გაზეთებში, საგანმანათლებლო აქტივობები გერმანულ უნივერსიტეტებში, მათ შორის, საქართველოსთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამები. საქართველომ ასევე აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ახალგაზრდების გაცვლით პროგრამებს გერმანიასა და საქართველოს შორის სხვადასხვა მიმართულებებით, ორ ქვეყანას შორის სოციალური კონტაქტების გასაძლიერებლად და პოლიტიკაზე სტერეოტიპების გავლენის თავიდან ასაცილებლად.

❖ საქართველოს მთავრობამ ყველა დონეზე უფრო მეტი ფინანსური, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური რესურსების ინვესტირება უნდა მოახდინოს გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებაში და დივერსიფიცირებაში. სასურველია, ჩამოყალიბდეს მჭიდრო კონტაქტები და ღია წარმომადგენლობები გერმანიის რამდენიმე მიწაზე, განსაკუთრებით ეკონომიკურად აქტიურ და საინვესტიციო პოტენციალის მქონე ისეთ მიწებზე, როგორიცაა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალია ან ბავარია. ამასთან, საქართველოს ოფიციალურმა პირებმა უნდა სცადონ გერმანიის წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარება.

❖ გერმანიას და საქართველოს მდიდარი კულტურული და პოლიტიკური კავშირები აქვთ, თუმცა ეს კავშირები არაერთგვაროვანია და კონკრეტულ სიტუაციებზეა მორგებული. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესში, გერმანიის წამყვანი ადგილის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა ყველანაირად უნდა შეეცადოს სტრატეგიულ დონეზე გერმანიასთან ისეთივე ხარისხის ურთიერთობების ჩამოყალიბებას, როგორც ეს აშშ-სთან არსებობს[54]. იმედია, რომ ეს პროცესი გერმანიას საქართველოს ევროპული ამბიციების ძლიერ ადვოკატად აქცევს.

❖ საქართველომ უნდა სცადოს გერმანული ინვესტიციების მოზიდვა ბიზნესისთვის კარგი და რისკისგან თავისუფალი გარემოს შექმნით. საქართველოს სტრატეგიულმა მდებარეობამ საშუალება უნდა მისცეს ქვეყანას გადაიქცეს ეკონომიკურ და სავაჭრო ცენტრად, განსაკუთრებით, როდესაც საქმე აზიის მზარდ ბაზართან ევროპის ალტერნატიული ენერგო და სავაჭრო გზებით დაკავშირების შესაძლებლობას ეხება. ამასთან, საქართველოს მთავრობამ უნდა სცადოს ისეთი წარსული შეცდომების თავიდან არიდება, როგორიც გერმანელი ინვესტორებისთვის ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მაგალითად 2004 წელს თბილისის აეროპორტის მშენებლობაში, მონაწილეობაზე უარის თქმა იყო.

❖ საქართველოს მთავრობა უნდა შეეცადოს, რომ უკრაინასთან ერთად, საქართველო მუდმივად იყოს ევროკავშირსა და რუსეთს, და გერმანიასა და რუსეთს შორის გამართული უსაფრთხოებისა და პოლიტიკური დიალოგების დღის წესრიგში. იმ დაშვებით, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტი საბოლოოდ დასრულდება ან დაცხრება მაინც, საქართველომ შესაძლოა კვლავ სცადოს გერმანიის, როგორც პატიოსანი მომრიგებლის ჩართვა რუსეთთან ურთიერთობისას.

❖ მიუხედავად იმისა, რომ ნატოში ინტეგრაციის თვალსაზრისით გერმანია საქართველოსთვის არადამაჯერებელი პარტნიორია, მაინც მნიშვნელოვანია თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება. საქართველომ უნდა სცადოს ევროკავშირისა და ნატოს ოპერაციების ფარლებში მეტად ჩაერთოს სამხედრო ოპერაციებში.

54. აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ფარგლებში, აშშ და საქართველო ყოველწლიურად ატარებენ მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებს აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის საფუძველზე, რომელსაც ხელი 2009 წელს მოეწერა. ქარტიით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს დემოკრატიას, თავდაცვასა და უსაფრთხოებას, ეკონომიკას, ვაჭრობას და ენერგო საკითხებს, ისევე როგორც ხალხთაშორის და კულტურულ გაცვლით პროგრამებს. წყარო: სახელმწიფო დეპარტამენტი, აშშ. “U.S.-Georgia Strategic Partnership Commission.” 2019. https://www.state.gov/p/eur/ci/gg/usgeorgiacommission/, წვდომის თარიღი, აპრილი, 2019.

გერმანიის მთავრობისა და პოლიტიკოსებისთვის

❖ გერმანიამ უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ სიმბოლური გამოხატულებები ქართველი პოლიტიკოსებისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. შესაბამისად, საქართველოსთვის „სტრატეგიული დიალოგის“ შეთავაზებაზე უნდა იფიქროს, რაც რეფორმების შემდგომი პროგრესის აღიარების, ან ყველაზე ცოტა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის კონტექსტში საქართველოსთვის მეტად დიფერენცირების საშუალება იქნება.

❖ გერმანიამ უნდა გააცნობიეროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში არსებული განსხვავებები და აღიაროს საქართველოს სურვილი, ჩამოშორდეს რეგიონის იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ევროკავშირთან მჭირდო ინსტიტუციონალური პარნტიორობის სურვილი არ აქვთ და სრულად არ იზიარებენ ევროპულ ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებს. ამ კონტექსტში, გერმანიის ბუნდესტაგმა შესაძლოა იფიქროს საქართველოს სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ჯგუფიდან ამოღებაზე და, ან ცალკე ჯგუფის შექმნაზე, ან საქართველოს მოლდოვასა და უკრაინასთან ერთ ჯგუფში განხილვაზე.

❖ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ხშირად მიიჩნევა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის მოწინავე ქვეყნად, გერმანიამ ყოველთვის უნდა მიაქციოს ყურადღება დემოკრატიაში არსებულ ხარვეზებს, დაიჭიროს უფრო აქტიური პოზიცია დემოკრატიულ რეფორმებზე ფოკუსირებით და გააააქტიუროს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც მთავარი დაინტერესებული მხარეები, პოლიტიკურ ელიტაზე ზეგავლენის მოსახდენად დემოკრატიზაციის ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესის ბოლომდე მისაყვანად.

❖ გერმანიის მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს მდგრად [ეკონომიკურ] ზრდას და საქართველოს ევროკავშირში ეკონომიკურ ინტეგრაციას AATIF-ის (აფრიკის სოფლის მეურნეობისა და სავაჭრო ინვესტიციების ფონდი) მსგავსი სტრუქტურული საინვესტიციო ფონდის ჩამოყალიბებით, რომელიც საქართველოს მიმზიდველს გახდის, სხვა მხრივ ფრთხილი, გერმანელი ინვესტორებისთვის.

❖ რადგან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, გერმანიას შეუძლია საქართველოს მხარდაჭერა პარტნიორობისა და ინტეგრაციის ისეთ ფორმატებში ჩართვით, როგორიცაა ევროპის ეკონომიკური ზონა, რასაც ევროკავშირი მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციისთვის უფრო ხელსაყრელ ფორმატად აღიქვამს[55]. ევროპის ეკონომიკური ზონა და მსგავსი ფორმატები საქართველოს მისცემს ახალ მოტივაციას და რეფორმების ახალ და უფრო რთულ პაკეტს იმპლემენტირებისთვის. შემდგომი კონკრეტული ნაბიჯი საქართველოს ევროკავშირის შრომის ბაზართან უფრო მჭიდრო ინტეგრაცია იქნებოდა - ერთადერთი თავისუფლება, რომელიც ჯერჯერობით ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და უვიზო მიმოსვლის რეჟიმით არ იფარება.

❖ გერმანიის მთავრობამ საქართველოს მოქალაქეებისთვის სამუშაო ნებართვის გაცემის უფრო გამარტივებული ფორმატი უნდა წარმოადგინოს, ისეთი როგორიცაა “Westbalkan-Regelung”, განსაკუთრებით იმ ზონებში, სადაც გერმანია სამუშაო ძალის სიმცირეს განიცდის და ისედაც უცხო ქვეყნის სამუშაო ძალაზეა დამოკიდებული[56]. რადგან გერმანიაში ბევრი მიმართულებით სამუშაო ძალის სიმცირეა და საქართველოს ჰყავს კვალიფიციური მოქალაქეები, ეს შესაძლოა ორივე მხარისთვის მომგებიანი გამოსავალი იყოს. ამას მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური გავლენა ექნება საქართველოზე და მნიშვნელოვნად აამაღლებს გერმანიის იმიჯს საქართველოს მოსახლეობაში. ასევე, დასაშვებია, რომ ლეგალურად მუშაობის შესაძლებლობამ საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის კლებაც გამოიწვიოს[57].

55. Lebanidze, Bidzina, Panchulidze, Elene, “Avoiding Gridlock: a Strategy for Georgia to Engage with Eurosceptic Europe,” Policy Paper, 2018, http://gip.ge/wp-content/uploads/2018/05/PrintEleneBidzinaENG.pdf, წვდომის თარიღი, მარტი, 2019; European Commission, “A review of the functioning of the European Economic Area,” 2012, http://www.europarl.europa.eu/RegData/docs_autres_institutions/commission_europeenne/swd/2012/0425/COM_SWD(2012)0425_EN.pdf,, წვდომის თარიღი, თებერვალი, 2018.
56. Financial Times, “Germany looks to foreign workers to tackle labour shortage,” 2018, https://www.ft.com/content/c1626f0c-a6f2-11e8-8ecf-a7ae1beff35b, წვდომის თარიღი, მარტი, 2019.
57. Lebanidze, Bidzina, Panchulidze, Elene, “Avoiding Gridlock: a Strategy for Georgia to Engage with Eurosceptic Europe,” Policy Paper, 2018, http://gip.ge/wp-content/uploads/2018/05/PrintEleneBidzinaENG.pdf, წვდომის თარიღი, მარტი, 2019.

გამოყენებული ლიტერატურა

- Agenda.ge. “German Chancellor on Russian illegalities against Georgia: “Yes, this is occupation”.” 2018. http://agenda.ge/en/news/2018/1772, accessed March 2019.
- Auswärtiges Amt. “Georgien - Beziehungen zu Deutschland.“ 2019. https://www.auswaertiges-amt.de/de/aussenpolitik/laender/georgien-node/-/201924, accessed March 2019.
- Baetz, Brigitte, and Hufen, Uli. “Eine Lange Nacht über Georgien. Das verunsicherte Paradies.“ 2018. https://www.deutschlandfunk.de/eine-lange-nacht-ueber-georgien-das-verunsicherte-paradies.704.de.html?dram:article_id=427882, accessed April 2019.
- Bewarder, Manuel, and Flade, Florian. “Bundesregierung besorgt über hohe Asylzahlen aus Georgien.“ *Welt,* February 19, 2018. https://www.welt.de/politik/deutschland/article173722178/Innere-Sicherheit-Bundesregierung-besorgt-ueber-hohe-Asylzahlen-aus-Georgien.html, accessed January 2019.
- Böttger, Katrin. “Im Osten nichts Neues? Ziele, Inhalte und erste Ergebnisse der Östlichen Partnerschaft.“ *integration* 32, no. 4 (2009): 372–387.
- Böttger, Katrin. “Deutschland, die Östliche Partnerschaft und Russland.“ In *Handbuch zur deutschen Europapolitik,* edited by Katrin Böttger and Mathias Jopp. Baden-Baden: Nomos, 2016.
- Bundesministerium der Verteidigung. “Weissbuch 2016 Zur Sicherheitspolitik und zur Zukunft der Bundeswehr.” 2016.
- Bundesregierung. “Rede des Bundesministers des Auswärtigen, Heiko Maas, zum Thema „Mut zu Europa - #EuropeUnited“ am 13. Juni 2018 in Berlin.” https://www.bundesregierung.de/breg-de/service/bulletin/rede-des-bundesministers-des-auswaertigen-heiko-maas--1147240, accessed January 2019.
- Civil Georgia. “Public Attitudes in NDI-Commissioned Opinion Survey.” 2019. https://civil.ge/archives/274820, accessed March 2019.
- DAAD. “Georgien. Kurze Einführung in das Hochschulsystem und die DAAD- Aktivitäten.“ 2018. https://www.daad.de/medien/der-daad/analysen-studien/laendersachstand/georgien_daad_sachstand.pdf, accessed March 2019.
- Euler Hermes Aktiengesellschaft. “Georgien.” 2018. https://www.agaportal.de/laenderinfo/land/Georgien#, accessed January 2019.
- EUobserver. “Nato should keep Georgia on its mind at summit.” 2018. https://euobserver.com/opinion/142304, accessed March 2019.
- European Commission. “A review of the functioning of the European Economic Area.” 2012. http://www.europarl.europa.eu/RegData/docs_autres_institutions/commission_europeenne/swd/2012/0425/COM_SWD(2012)0425_EN.pdf,, accessed February 2018.
- Financial Times. “Germany looks to foreign workers to tackle labour shortage.” 2018. https://www.ft.com/content/c1626f0c-a6f2-11e8-8ecf-a7ae1beff35b, accessed March 2019.
- Forsberg, Tuomas. “From Ostpolitik to ‘frostpolitik’?: Merkel, Putin and German foreign policy towards Russia.” *International Affairs, no.* 92 (2016): 21–42.
- Gelaschwili, Simon. “Deutsches Finanzkapital in Georgien am Ende des 19. und Anfang des 20. Jahrhunderts.” 2010. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/4240/file/finanzdisk_g13.pdf, accessed April 2019.
- Geostat. “Foreign Direct Investments according to countries.” 2018. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo, accessed January 2019.
- Gvalia, Giorgi, and Lebanidze, Bidzina. “Geopolitics and Modernization: Understanding Georgia’s Pro-Western Assertiveness since the Rose Revolution.” In *Modernization in Georgia,* edited by Giga Zedania: Peter Lang AG, 2018.

- Hertel, Alexander. *Georgien - Visafreiheit mit langem Vorlauf*: MDR, 2017. https://www.mdr.de/heute-im-osten/georgien-visafreiheit-100.html, accessed January 2019.
- Kakachia, Kornely. "A Reluctant Partner: Georgian-German Relations Revisited." 2017. http://www.ponarseurasia.org/memo/reluctant-partner-georgian-german-relations-revisited, accessed November 2018.
- Kakachia, Kornely. "Georgia: Identity, Foreign Policy, and the Politics of "Euro-Atlantic Integration." In *The South Caucasus - Security, Energy and Europeanization,* edited by Meliha B. Altunışık and Oktay F. Tanrisever. London: Routledge, 2017.
- Klußmann, Uwe. "Zum Tode Eduard Schewardnadses: Sargträger der Sowjetunion." *Spiegel Online,* July 07, 2014. http://www.spiegel.de/politik/ausland/eduard-schewardnadse-ist-tot-nachruf-auf-georgiens-ex-praesident-a-979632.html, accessed January 2019.
- Körber-Stiftung. "The Berlin Pulse: German Foreign Policy in Perspective." 2018. https://www.koerber-stiftung.de/fileadmin/user_upload/koerber-stiftung/redaktion/the-berlin-pulse/pdf/2018/The-Berlin-Pulse-2018.pdf, accessed March 2019.
- Lebanidze, Bidzina. *Russia, EU and the post-Soviet democratic failure*. Wiesbaden: Springer, forthcoming.
- Lebanidze, Bidzina. "NATO and Georgia: Waiting the Winter Out." ISPI, 2018. https://www.ispionline.it/en/pubblicazione/nato-and-georgia-waiting-winter-out-21098+, accessed January 2019.
- Lebanidze, Bidzina, Panchulidze, ELene. "Avoiding Gridlock: a Strategy for Georgia to Engage with Eurosceptic Europe." Policy Paper, 2018. http://gip.ge/wp-content/uploads/2018/05/PrintEleneBidzinaENG.pdf, accessed March 2019.
- Meister, Stefan. "Deutsche Russland-Politik." *International Politik, no.* 6 (2012): 54–59. https://zeitschrift-ip.dgap.org/de/ip-die-zeitschrift/archiv/jahrgang-2012/november-dezember/deutsche-russland-politik, accessed December 2018.
- Meister, Stefan. "Nord Stream 2: The Dead-End of Germany's Ostpolitik." Berlin Policy Journal, 2019. https://berlinpolicyjournal.com/nord-stream-2-the-dead-end-of-germanys-ostpolitik/?fbclid=IwAR0fiUCWEScxPpOrCwSn6lwkJk9oRw3gJQRRiI-lBd9ab0bXu7PKjCegTco, accessed March 2019.
- MESD. "Doing Business 2018." 2018. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2018_geo.pdf, accessed January 2019.
- NATO. "Resolute Support Mission (RSM): Key Facts and Figures." 2019. https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2019_02/20190215_2019-02-RSM-Placemat.pdf, accessed April 2019.
- Ost-Ausschuss - Osteuropaverein der Deutschen Wirtschaft. "Georgien." 2018. https://www.oaoev.de/de/georgien, accessed December 2018.
- Pew Research Center. "Origins and Destinations of the World's Migrants, 1990-2017, Origins and Destinations of the World's Migrants, 1990-2017." 2018. http://www.pewglobal.org/2018/02/28/global-migrant-stocks/, accessed January 2019.
- Prodi, Romano. "A Wider Europe - A Proximity Policy as the key to stability." European Commission, 2002. http://europa.eu/rapid/press-release_SPEECH-02-619_en.htm, accessed January 2016.
- Rinke, Andreas. "Wie Putin Berlin verlor: Moskaus Annexion der Krim hat die deutsche Russland-Politik verändert." *International Politik, no.* 3 (2014): 33–45. https://zeitschrift-ip.dgap.org/de/ip-die-zeitschrift/archiv/jahrgang-2014/mai-juni/wie-putin-berlin-verlor, accessed December 2018.
- Schimmelfennig, Frank. "Osterweiterung: Strategisches Handeln und kollektive Ideen." In *Europäische Integration*. 2nd ed., edited by Markus Jachtenfuchs and Beate Kohler-Koch. Wiesbaden: VS Verl. für Sozialwiss, 2006.
- Siroky, David S., Simmons, Alan James, and Gvalia, Giorgi. "Vodka or Bourbon? Foreign Policy Preferences Toward Russia and the United States in Georgia." *Foreign Policy Analysis* 13, no. 2 (2017): 500–518.

- Statista. "Anzahl der Ausländer in Deutschland nach Herkunftsland in den Jahren 2016 und 2017." 2018. https://de.statista.com/statistik/daten/studie/1221/umfrage/anzahl-der-auslaender-in-deutschland-nach-herkunftsland/, accessed January 2019.
- Statistisches Bundesamt. "Außenhandel: Rangfolge der Handelspartner im Außenhandel der Bundesrepublik Deutschland." 2019. https://www.destatis.de/DE/Themen/Wirtschaft/Aussenhandel/Tabellen/rangfolge-handelspartner.pdf?__blob=publicationFile&v=7, accessed May 2019.
- Stöber, Silvia. "Deutsch-Georgische Beziehungen in turbulenten Zeiten - Was bleibt, was ändert sich?", Heinrich Böll Stiftung, 2017. https://ge.boell.org/en/2017/12/28/deutsch-georgische-beziehungen-turbulenten-zeiten-was-bleibt-was-andert-sich, accessed January 2019.
- Stöber, Silvia. "German Elections 2017: Continuity at the Top, a Looming Disaster from Below." 2017. http://gip.ge/german-elections-2017-continuity-top-looming-disaster/, accessed November 2018.
- Stöber, Silvia. "German Foreign Policy Explained." 2017. http://gip.ge/german-foreign-policy-explained/, accessed November 2018.
- Tagesspiegel. "Saakaschwili warnt Deutschland vor „Verrat"." 2008. http://www.tagesspiegel.de/politik/eu-russland-abkommen-saakaschwili-warnt-deutschland-vor-verrat/1829816.html 17.01.17, accessed October 2018.
- Teschendorf, Peer. "Eine europäische Ostpolitik Deutschlands - Koordination statt Dominanz." In *Der Blick der Anderen: Deutsche Ostpolitik aus Sicht der Partner,* edited by Matthias Jobelius and Peer Teschendorf, 2017.
- WTEx. "Georgia's Top Trading Partners." 2019. http://www.worldstopexports.com/georgias-top-15-import-partners/, accessed May 2019.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) შესახებ

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად. 2013 წლიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი, ხოლო 2018 წლიდან კი EU-LISTCO-ს კონსორციუმის წევრი, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის "ჰორიზონტი 2020-ის" პროგრამის ფარგლებში.

Institut für Europäische Politik
1959 – 2019

ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტის (IEP) შესახებ

ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP) არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც იკვლევს ევროპულ ინტეგრაციას. ინსტიტუტი დაარსდა 1959 წელს. IEP არის საგარეო და ევროპის პოლიტიკის წამყვანი კვლევითი ცენტრი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში, ამასთან, აკადემიის, პოლიტიკის, ადმინისტრაციისა და პოლიტიკური საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს შორის აზრთა გაცვლის პლატფორმას წარმოადგენს. ორგანიზაციის მისიაა, ევროპის პოლიტიკისა და ინტეგრაციის საკითხების აკადემიური კვლევა, სამომავლო გზების დასახვა და კვლევის შედეგების პრაქტიკული იმპლემენტაციის ხელშეწყობა. IEP ტრანსევროპული პოლიტიკის სწავლების ასოციაციის (TEPSA) დამფუძნებელი წევრი და 1962 წლიდან გერმანიის ევროპული მოძრაობის წევრია.

ავტორების შესახებ

კორნელი კაკაჩია

პოლიტიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი. იგი ამავე დროს არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. პროფესორი კაკაჩია სხდასხვა დროს იყო მიწვეული მკვლევარი ჯონ კენედის სახელობის სახელმწიფო მმართველობის სკოლაში, ჰარვარდის უნივერსიტეტი,(2009-10) ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის,(2000) ასევე კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტში. (2011) მას მოპოვებული აქვს პოლიტიკის დოქტორის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. იგი ასევე არის საერთაშორისო კვლევების ასოციაციისა (ISA) და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებული ევრაზიის კვლევებიის პროგრამის (PONARS ევრაზია) წევრი.

კატრინ ბეტგერი

კატრინ ბეტგერი ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორია ბერლინში 2018 წლის 1 ივლისიდან. ის ასევე არის ლექტორი და ევროპის საერთაშორისო სასწავლო ცენტრის (CIFE) სამეცნიერო მრჩეველთა საბჭოს წევრი. კატრინ ბეტგერი ტრანსევროპული პოლიტიკის სწავლების ასოციაციისა და Netzwerk Europäische Bewegung-ის საბჭოს წევრი, Arbeitskreis Europäische Integration-ის ხაზინის უფროსი და ყოველ კვარტლური ჟურნალ „Integration"-ის სარედაქციო კომიტეტის წევრია.

ბიძინა ლებანიძე

ბიძინა ლებანიძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსი ანალიტიკოსი. იგი ასევე არის ბრემენის უნივერსიტეტის მკვლევარი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი. სხვადასხვა პერიოდში იგი ასევე ეწეოდა კვლევით და აკადემიურ საქმიანობას ფრაიბურგის უნივერსიტეტში, ბერლინის ეკონომიკის და სამართლის სკოლაში და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში.

ვიქტორია პალმი

ვიქტორია პალმი ევროპის პოლიტიკის ინსტიტუტის (IEP) ასოცირებული მკვლევარია. მისი საკვლევი ინტერესებია ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ პარტნიორობა, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ტენდენციები. მას მიღებული აქვს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტისა და პოტსდამის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში. IEP-მდე ვიქტორია პალმი მუშაობდა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში კურსის ასისტენტად და პროექტის კოორდინატორად.

მიხეილ სარჯველაძე

მიხეილ სარჯველაძე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს რეფერენტია. მას მიღებული აქვს დოქტორის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებში კიოლნის უნივერსიტეტში, ხოლო მაგისტრის ხარისხი „მე-20 საუკუნის ისტორიასა და პოლიტიკაში" ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში. ის მუშაობდა კონრად ადენაუერის ფონდში, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტსა და კიოლნის უნივერსიტეტში. მისი კვლევითი ინტერესებია საქართველოს საგარეო პოლიტიკა, გერმანიის საგარეო პოლიტიკა, ურთიერთობები ევროკავშირს, ნატოსა და რუსეთს შორის.

ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში

როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?

პოლიტიკის დოკუმენტი

კორნელი კაკაჩია, კატრინ ბეტგერი, ბიძინა ლებანიძე,
ვიქტორია პალმი, მიხეილ სარჯველაძე

ბერლინი/თბილისი
ივლისი 2019

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

Institut für Europäische Politik
1959 – 2019